645
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი



მაისი
№ 5 1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ამოცანები დასახა აპრილის პლენუმმა

უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში, თვალსაჩინო ადგილი უკავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს და მის გადაწყვეტილებებს.

პლენუმმა მოისმინა და მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება — „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის".

მოხსენებასა და პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიდი მეცადინეობა — მიაღწიოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას. უთანხმოებანი, რომლებმაც, სამწუხაროდ, თავი იჩინეს ამ ბოლო დროს, ხელს უშლის იმპერიალისტური რეაქციის ფრონტის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების განხორციელებას.

იმპერიალისტური ძალები, პირველ რიგში ამერიკის იმპერიალიზმი, ცდილობენ გამოიყენონ მსოფლიო კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის არსებული უთანხმოებანი თავიანთი შავბნელი აგრესიული მოქმედებისა და რეაქციული იდეოლოგიური მუშაობის ფრონტის გაფართოებისათვის, მიაღწიონ ბურჟუაზიული იდეოლოგიური დივერსიების შეხამებას ძალის პოზიციებთან. ამით ცდილობენ ისტორიისაგან დასაღუპავად განწირული იმპერიალიზმის არსებობა გაახანგრძლიონ.

ამ მიზნის მისაღწევად ბურჟუაზიის იდეოლოგები და იმპერიალიზმის აპოლოგეტები არ თაკილობენ ბრძოლის არავითარ საშუალებას. სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევას, რეაქციული ძალების აღორძინებას და რეაქციული რეჟიმის დამყარებას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის და ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ბინძური, აგრესიული ომის გაფართოებას, ჯაშუშური ძირგამომთხრელი მუშაობის გაძლიერებას, რისთვისაც მილიარდობით დოლარებს ხარჯავენ.

ამერიკის იმპერიალიზმი, სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებთან ერთად, სულ უფრო გაუგონარი მასშტაბით აძლიერებს ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას, ჯაშუშობას და ფარულ ინტრიგებს საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის სხვა ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ამისათვის მათ გააჩნიათ უამრავი სადაზვერვო, ძირგამომთხრელი ორგანიზაციები ათასობით მომსახურე პერსონალით.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სააგენტო თავის რიგებში 6 ათას თანამშრომელს ითვლის (აქ არ შედის არმიის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისადმი დაქვემდებარებული სადაზვერვო სამსახური).

სახელმწიფო დეპარტამენტის ეგრეთწოდებული კვლევისა და დაზვერვის განყოფილება და ატომის ენერგიის კომისია, რომელსაც თავის რიგებში ათი ათასი თანამშრომელი ჰყავს, დღეში მილიონამდე დოლარს ხარჯავს. გამოძიების ფედერალურ ბიუროს თავის განკარგულებაში თხუთმეტი ათასი მუშაკი და ათეულ ათასობით ინფორმატორი ჰყავს.

სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობის საქმეს ემსახურება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 20 ათასი კაცისაგან შემდგარი შტატით, რომლის წლიური ბიუჯეტი მილიარდ ნახევარ დოლარს აღწევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი რაოდენობითაა შექმნილი სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, რომლებიც ჩვენი ხალხების ისტორიის, საბჭოთა ეკონომიკის და პოლიტიკის ფალსიფიკაციას ეწევიან, დიდი ტირაჟით ავრცელებენ წიგნებს, ბროშურებს, გაზეთებს. ცილისწამების, მოტყუების მიზნებს ემსახურება რადიო და ტელევიზია. ყველა ეს ჯაშუშური, ძირგამომთხრელი ორგანიზაციები გამიზნულია იმისათვის, რომ რწმენა დაუკარგონ მსოფლიოს ხალხებს საბჭოთა კავშირისადმი, სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი, მოაწყონ საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეებს შორის იდეოლოგიური დივერსიები, სისტემატური პროვოკაციები და შანტაჟები. საბჭოთა ადამიანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და სტუდენტებში, გამოძებნონ პოლიტიკურად მერყევი ელემენტები, ჩაადენინონ მათ სამშობლოს ღალატი, პროვოკაციები, ძირგამომთხრელი მოქმედება და ცილისმწამებლური გამოხდომები. ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდისათვის იყენებენ აგრეთვე ეკლესიის მსახურთ.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები გამონაკლისს არ წარმოადგენს! ასეთივე ძირგამომთხრელ, დივერსიულ, პროვოკაციულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა ქვეყნისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობებიც.

ასეთ მძიმე საერთაშორისო ვითარებაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლისა და მასზე გარდუვალი გამარჯვებების საკაცობრიო ინტერესები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას მოითხოვს, მაგრამ არა ყოველგვარ ერთიანობას, არამედ ერთიანობას მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებზე, ერთიანობას საერთაშორისო მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ძირითადი ინტერესების განხორციელებისათვის, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მიზნებისა და ამოცანების სულისკვეთებით მშრომელთა შედუღაბებისათვის, იმპერიალიზმზე გადამწყვეტი გამარჯვებისათვის.

ამიტომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე აქტუალური, სადღეისო პრობლემა — მისი ერთიანობის უზრუნველყოფაა, ერთიანობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების გამარჯვება გარდუვალია, რადგან მისი ძალა მის სისწორეშია, საერთო ინტერესების სწორად გაგებაშია.

ერთიანობის გარეშე, ძმური კავშირის გარეშე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში გამარჯვება შეუძლებელია.

კ. მარქსი ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე აფრთხილებდა კომუნისტებს სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასის ძმური კავშირის მნიშვნელობის შეუფასებლობის დაუშვებლობის შესახებ. კომუნისტებმა უნდა შთაუნერგონ მუშათა კლასს,—მიუთითებდა იგი,—რომ თუ ისინი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში არ იქნებიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, საბოლოო ანგარიშში დაისჯებიან მათი დაქსაქსული მოქმედების საერთო დამარცხებით.

აქედან გამომდინარე, იმპერიალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლა შეუძლებელია კომუნისტურ და მუშათა პარტიებში იდეოლოგიური ერთიანობის გარეშე, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შეუფასებლობის გარეშე, ჩვენი პარტიული და საბჭოთა კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღების გარეშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდისათვის, პარტიული და საბჭოთა კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებისათვის. მაგრამ იდეოლოგიური მუშაობა საჭიროებს ძირეულ გაუმჯობესებას, მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში არსებული ფორმალიზმის და ლიბერალიზმის აღმოფხვრას, იდეოლოგიური მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე აყვანას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა აღნიშნა თანამედროვე ეტაპზე კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება, დასახა ამოცანები: მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე აღნიშნავდა: „იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენს დროში კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფრონტია. ამ ბრძოლაში არ შეიძლება პოლიტიკური გულგრილობა და პასიურობა, ნეიტრალიზმი იმ მიზნების მიმართ, რომლებსაც ისახავს მტერი. ჩვენი პარტია მუდამ გვაფრთხილებდა, რომ იდეოლოგიის დარგში არ შეიძლება მშვიდობიანი თანაარსებობა, ისევე როგორც არ შეიძლება კლასობრივი ზავი პროლეტარიატს და ბურჟუაზიას შორის".

ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა შეურიგებელი შეტევითი ბრძოლა ვაწარმოოთ იმპერიალისტური პროპაგანდის და მათი დამქაშების ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა კი შეუძლებელია მარქსისტულ-ლენინური იდეების დაუფლების გარეშე.

ყველას კარგად უნდა ახსოვდეს ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენს ეპოქაში საქმე გვაქვს ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო იდეოლოგიასთან — სოციალისტურ პროლეტარულ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. ის, ვინც არ აფასებს სოციალისტურ იდეოლოგიას, ვინც უგულვებელყოფს მას, ვინც არ ცდილობს ღრმად დაეუფლოს მის საფუძვლებს, ის, უნდა თუ არა მას, გარდუვალად მოექცევა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, რადგან შუათანა იდეოლოგია არ არსებობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებისა და ვ. ი. ლენინის მითითებათა შუქზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მენშევიკური, რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას. საჭიროა ქართველი მენშევიკების იდეური და ორგანიზაციული გადაგვარების მაგალითზე ვუჩვენოთ მასებს თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია პროლეტარული და ბურჟუაზიული იდეოლოგიების შერიგების ცდას, საშუალო გზის ძებნას, რასაც კერძოდ ქართველი მენშევიკები ცდილობდნენ. ეს გზა პროლეტარიატის ინტერესების გამყიდველთა, ბურჟუაზიის ყურმოჭრილ მონებად, ჯაშუშებად გახდომის გზაა.

საჭიროა მივაღწიოთ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობას, ხოლო იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობით არის განპირობებული. პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი კადრების პირადი იდეურ-პოლიტიკური და ყოველდღიური მუშაობა მართალი, კომუნისტური სიტყვისა და საქმის ერთიანობის ნიმუში უნდა იყოს!

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური საქმიანობა თითოეულ მუშას, კოლმეურნეს თუ ინტელიგენტს უნდა განუმტკიცებდეს რწმენას კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის გამარჯვებისადმი.

მიხეილ ცერცვაძე.
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# კარლ მარქსი

## დაბადების 150 წლისთავი

გასული საუკუნე უდიდესი მოვლენით აღინიშნა კაცობრიობის ისტორიაში. შეიქმნა ჭეშმარიტად მეცნიერული მოძღვრება მარქსიზმი, რომელიც უდიდეს გადატრიალებას მოასწავებდა აზროვნებაში.

მარქსიზმი აღმოცენდა კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების საფუძველზე, როგორც აზროვნების უმაღლესი მიღწევა. მარქსიზმმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ისტორიის ნამდვილი შემოქმედი ხალხია და მომავალიც მას ეკუთვნის.

დიადი მოძღვრების, მეცნიერული კომუნიზმის შემქმნელი კარლ ჰენრიხის ძე მარქსი დაიბადა 150 წლის წინათ, 1818 წლის 5 მაისს კლასიკური ფილოსოფიის ქვეყანაში — გერმანიაში, რაინისპირა პრუსიის ქალაქ ტრირში. მამამისი ადვოკატი იყო. მარქსის ოჯახი შეძლებული იყო და გამოირჩეოდა კულტურით. კ. მარქსმა დაამთავრა ტრირის გიმნაზია, შემდეგ — ბერლინის უნივერსიტეტი და წარადგინა საუნივერსიტეტო დისერტაცია ფილოსოფიაში. იგი ცდილობდა პროფესორი გამხდარიყო, მაგრამ მთავრობის რეაქციულმა პოლიტიკამ მარქსს ხელი აალებინა მეცნიერულ კარიერაზე.

1842 წლის იანვრიდან კ. მარქსმა მუშაობა დაიწყო კელნში — „რაინის გაზეთის" თანამშრომლად. ამავე წლის ოქტომბრიდან ის უკვე ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო. ამ დროიდან „რაინის გაზეთი" სულ უფრო რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისა ხდებოდა. ამიტომ მთავრობამ გააძლიერა მასზე ცენზურა, ხოლო 1843 წლის დასაწყისში დახურა. ამავე წლის შემოდგომაზე მარქსი პარიზში ჩავიდა და მემარცხენე ჰეგელიანელ არნოლდ რუგესთან ერთად დაიწყო რადიკალური ჟურნალის „გერმანულ-ფრანგული ყოველწლიურის" გამოცემა. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში კარლ მარქსი გვევლინება როგორც რევოლუციონერი, რომელიც უშუალოდ მიმართავდა პროლეტარიატს და რევოლუციუ-

რი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მასებს.

1844 წლის სექტემბერში მარქსი პირველად შეხვდა ფრიდრიხ ენგელსს, რომელიც მარქსის უახლოესი, განუყრელი მეგობარი და იდეური თანამებრძოლი გახდა. მალე მარქსი, როგორც საშიში რევოლუციონერი, პრუსიის მთავრობის მოთხოვნით გასახლებულ იქნა პარიზიდან. იგი ხან ბელგიაში, ხან გერმანიაში ეწეოდა დაუცხრომელ მეცნიერულ და რევოლუციურ მოღვაწეობას; მერე ისევ საფრანგეთში დაბრუნდა, მაგრამ 1849 წლის 13 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ, პარიზიდან გაძევებული, ლონდონს გაემგზავრა და იქ ცხოვრობდა. მან თავისი დღენი სიკვდილამდე ემიგრაციაში გაატარა.

კ. მარქსი, მსოფლიოში უდიდესი რევოლუციონერი, უწინარეს ყოვლისა იყო ბუმბერაზი მეცნიერი. მან შექმნა სრულყოფილი მოძღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნებული, რევოლუციური გარდაქმნის შესახებ.

კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება გვაიარაღებს იმის ცოდნით, თუ რას წარმოადგენს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში წარმოება და ადამიანთა ურთიერთობა. კაპიტალიზმი ნიშნავს მიწისა და მისი წიაღის, ქარხნების, ფაბრიკების, შრომის იარაღების და წარმოებული პროდუქციის კერძო საკუთრებას, წარმოების საშუალებების მფლობელთა მიერ ბაზარზე ნაყიდი სამუშაო ძალის — დაქირავებული მუშების გამოყენებას და ექსპლოატაციას. კაპიტალისტი მუშათა სამუშაო დღის მნიშვნელოვან ნაწილს მუქთად ითვისებს და მდიდრდება, მშრომელები კი შიმშილობენ.

კაპიტალიზმი აჩანაგებს წვრილ მეპატრონეებს, ქმნის პროლეტარიატს. იგი იჭრება სოფლად და ალატაკებს წვრილ მიწათმოქმედთ, ერეკება მათ სოფლიდან და წარმოშობს იაფ მუშახელს. კაპიტალიზმი უკიდურესად აძლიერებს ექსპლოატაციას, წარმოშობს მასობრივ სიღატაკეს და უმუშევრობას. მუშის მიერ შექმნილი სიმდიდრე (კაპიტალი) თვითონ მას, მთელ მშრომელ კლასებს უპირისპირდება. კაპიტალიზმი ნიშნავს ერთ პოლუსზე სიმდიდრის დაგროვებას და მჩაგვრელთა ეკონომიურ და პოლიტიკურ გაძლიერებას, მეორე პოლუსზე — მშრომელთა დამშევას, ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას.

კარლ მარქსის ნაშრომები, მისი „კაპიტალი", მისი ეკონომიური მოძღვრება შთააგონებს მშრომელებს, რომ ადამიანისთვის სიღატაკე ბუნებას კი არ უბოძებია, არამედ იგი ადამიანების უსამართლო ურთიერთობამ წარმოშვა, რომ „პროლეტარიატს ქმნის არა ბუნებრივად წარმოშობილი, არამედ ხელოვნურად წარმოშობილი სიღარიბე" (კ. მარქსი).

ამ უსამართლობის მოსპობა, გვასწავლის მარქსიზმი, საზოგადოების ბუნებრივი განვითარების ობიექტური მოთხოვნაა. კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი შინაგანი ბუნების გამოკვლევის საფუძველზე მარქსმა დაასკვნა, რომ კაპიტალიზმის გამარჯვება მსოფლიოში მასზე შრომის გამარჯვების წინამორბედია და შრომის განთავისუფლება გარდუვალია, აუცილებელია.

კარლ მარქსმა გამოიკვლია ბუნების, გარემომცველი სამყაროს არსება, რაობა და დაასკვნა, რომ იგი ადამიანის შეგნებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი რეალობაა, ბუნების ნივთიერებათა მოძრაობა კანონზომიერია და იგი არავითარ გარეგან ბიძგს არ საჭიროებს. მარქსიზმმა ამოცანად დააყენა ადამიანების მიერ ბუნების შეცნობა და მისი მოვლენების ახსნა. რაც გაამდიდრებს მათს ცოდნას და უზრუნველყოფს ბუნების ძალების მართვას, ბუნებაზე ადამიანის გაბატონებას და ცხოვრების შეგნებულ გარდაქმნას. მარქსისტული დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრება, თეორია განვითარების შესახებ კაცობრიობის დიდი შენაძენია.

ბუნებისა და საზოგადოებრივი განვითარების მოვლენების გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნებით და თავისი მეცნიერული აღმოჩენებით, მარქსმა გვიჩვენა როგორ ვითარდება ერთი საზოგადოებრივი წყობილებიდან მეორე, უფრო მაღალი წყობილება, რომ სოციალისტური რევოლუცია ამ განვითარების ობიექტური შედეგია.

მარქსიზმში ყველაზე მთავარია პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის აღმოჩენა და სოციალისტური რევოლუციის თეორია. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელმა კ. მარქსმა არა მარტო კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობა დაასაბუთა, არამედ ამასთან ერთად აღმოაჩინა ის ძალაც, რომელიც დაამხობდა ძრომოჭმულ წყობილებას და ექსპლოატაციის უღლისაგან გაათავისუფლებდა ყველა მშრომელს. ეს ძალაა კაპიტალიზმის მესაფლავე — მუშათა კლასი. „საზოგადოებამ — წერდა კ. მარქსი, — თავისი განვითარების ბუნებრივი კანონის კვალს მიაგნო". „ახლანდელი საზოგადოება მტკიცე კრისტალი კი არაა, არამედ გარდაქმნისუნარიანი და მუდამ გარდაქმნის პროცესში მყოფი ორგანიზმია".

კ. მარქსმა ფ. ენგელსთან ერთად დაწერა მუშათა კლასის პარტიის საპროგრამო დოკუმენტი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", სადაც დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობა. სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმის გამარჯვების მარქსისტულმა იდეებმა ბრწყინვალე განხორციელება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, ნახევარი საუკუნის წინათ მოიპოვეს თავისუფლება და თანასწორობა. მარქსიზმმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ვ. ი. ლენინის ნაშრომებში და სკკპ დოკუმენტებში.

ჩვენში დიდი ხანია აღმოიფხვრა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ჩაგვრა, სიღატაკე და უმუშევრობა. ქალები მამაკაცების მხარდამხარ შრომობენ და მართავენ სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობას, აშენებენ უკლასო კომუნისტურ საზოგადოებას, ქმნიან თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ ახალ ოჯახს და ყოფა-ცხოვრებას. სოციალისტურ კულტურას და ხელოვნებას. ამკვიდრებენ კომუნისტურ მორალს.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი დიდად აფასებდა ქალის როლს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ეს ბუმბერაზი მეცნიერი შთამაგონებლად წერდა: „ყველამ, ვინც კი რამდენადმე იცნობს ისტორიას, იცის აგრეთვე, რომ დიდი საზოგადოებრივი გადატრიალებანი შეუძლებელია ქალური ფერმენტის გარეშე. საზოგადოებრივი პროგრესი შეიძლება ზუსტად განისაზღვროს მშვენიერი სქესის... საზოგადოებრივი მდგომარეობით".

მარქსიზმის სისწორეს ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხშიც მკაფიოდ ადასტურებს ცხოვრება. სოციალისტური სისტემის ქვეყნებში ძირეულად შეიცვალა ქალთა მდგომარეობა. ამ წარმატებათა ბაზაზე სულ უფრო ძლიერდება კაპიტალის უღელქვეშ მგმინავ ქალთა ბრძოლა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, ვითარდება ქალთა საერთაშორისო მოძრაობა.

კარლ მარქსი არა მარტო თეორიულად იცავდა ქალთა უფლებებს, არამედ პრაქტიკულად ზრუნავდა მათი უფლებების დაცვისათვის. ვ. ლიბკნეხტი დიდი თანაგრძნობით იგონებდა ერთ შემთხვევას: ერთხელ სალამოთი ომნიბუსით მივდიოდით. ერთი ტრაქტირის მახლობლად მღელვარება იყო. დავინახე ბრბო, საიდანაც ქალის გულშემზარავი ყვირილი ისმოდა: „მიშველეთ". მარქსი ომნიბუსიდან ელვისსისწრაფით გადმოხტა. მე უკან დავედევნე. მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ ეს უფრო ძნელი იყო, ვიდრე გასროლილი ტყვიის შეჩერება. ერთ წუთს ბრბოში გავჩნდი. ბრძოლის ველზე რომ ორ პოლიციელს არ მოესწროთ, ჩვენი ფილანტროპიული განზრახვა ძალიან ძვირად დაგვიჯდებოდა.

ვ. ლიბკნეხტი დაასკვნის, რომ კ. მარქსში ყოველთვის თანაგრძნობას იწვევდა ფიზიკური სისუსტე. იგი ყოველთვის ესარჩლებოდა ქალს, თუ მას ვინმე ჩაგრავდა.

კ. მარქსი არა მარტო გენიალური მეცნიერი და დიდი რევოლუციონერი, არამედ საუკეთესო მეუღლე და მოსიყვარულე მამა იყო. იგი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა თავის მეუღლეს ჯენი ფონ-ვესტფალენს. მარქსის მეგობრები და ბიოგრაფები ჯენის დიდბუნებოვან და არაჩვეულებრივ ჰკვიან, დარბაისელ ქალად და მოსიყვარულე მეგობრად ახასიათებენ.

კ. მარქსს ძლიერ უყვარდა ბავშვები. ეს ბუმბერაზი მეცნიერი და დარბაისელი მოღვაწე თავისუფალ წუთებში გატაცებით თამაშობდა ბავშვებთან,

კ. მარქსს სამი ქალიშვილი ჰყავდა: ჯენი, ლაურა და ელეონორა. ისინი უაღრესად განათლებული და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული იყვნენ. მათი მსოფლმხედველობა განსაკუთრებულ ატმოსფეროში ყალიბდებოდა. მარქსის ოჯახში განუწყვეტლივ მოდიოდნენ თანამოაზრენი, პოლიტიკური ემიგრანტები და სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები.

უფროსი ქალიშვილი ჯენი თავისი მამის ღირსეული მემკვიდრე იყო. იგი პარიზის ერთ-ერთ გავლენიან გაზეთში ჯ. ვილიამსის ხელმოწერით აქვეყნებდა სტატიებს, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო „თავისუფალი ინგლისის" ცხოვრების წესი და მთავრობა, რომელიც სასტიკად დევნიდა ირლანდიელ რევოლუციონერებს. მარქსმა და ენგელსმა მაღალი შეფასება მისცეს ჯენის გამოსვლებს.

ლაურა, ცნობილი ფრანგი სოციალისტის პოლ ლაფარგის მეუღლე, მარქსის მეორე ქალიშვილი იყო. მან ლაფარგთან ერთად ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოსცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" და მარქსისა და ენგელსის სხვა ნაშრომები. ლაურა ინახავდა მარქსის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში.

ელეონორა ყველაზე უმცროსი იყო. იგი ჯერ მარქსის მდივნად და თანაშემწედ მუშაობდა, შემდეგ დამოუკიდებლად მოღვაწეობდა.

ელეონორა მარქსი-ეველინგი პრესაში, კრებებზე და მიტინგებზე აქტიურად იცავდა მარქსიზმს მტრების თავდასხმისაგან, მან მთელი თავისი ძალები მოახმარა სოციალიზმის იდეალებისათვის ბრძოლას, ქალთა სექციების შექმნას და ქალთა შორის მუშაობას.

დიადი საკაცობრიო საქმე, რომელსაც კარლ მარქსმა მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები მოახმარა, ცოცხლობს და ზეიმობს სოციალისტური სისტემის ქვეყნების წარმატებებში, მსოფლიო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, ეროვნულგანმათავისუფლებელ ბრძოლებსა და ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში, იგი ცოცხლობს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულში და საქმეებში. მარქსიზმი ძლევამოსილი და მარად ცოცხალი მოძღვრებაა, რომელსაც კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას მოუტანს მომავალი.

**ევგენია ხუნდაძე**

10675



მოქანდაკე კლერ შერიდანი

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

**ელიზავეტა დრაბკინა,**
მწერალი, სკკპ წევრი 1917 წლიდან.

# მე იგი წარმოვიდგენდი მოაზროვნის ცოცხალ განსახიერებად

...უელსი თავისი წიგნის რუსულ გამოცემაში — „რუსეთი წყვდიადში" — წერდა: მოსკოვში ყოფნის დროს მე და ერთი ინგლისელი მოქანდაკე, რომელიც რაღაც მანქანებით მოსკოვში მოხვედრილიყო, ერთსა და იმავე სახლში ვცხოვრობდით და ლენინისაგან დაბრუნების შემდეგ ბატონ ვანდერლიპთან და ამ ახალგაზრდა მოქანდაკესთან ერთად ვსაუზმობდით.

ეს მოქანდაკე ქალი, თანაც უმშვენიერესი ქალი — კლერ შერიდანი გახლდათ.

მომხიბლავი და მამაცი. არაჩვეულებრივად მამაცი და უშიშარი უნდა ყოფილიყო, რომ მაშინ, 1920 წლის შემოდგომაზე, ჩასულიყო საბჭოთა რუსეთში, რომელზეც იქიდან დაბრუნებული ინგლისელები ჰყვებოდნენ, თითქოს საკუთარი თვალით ეხილოთ საზოგადოებრივი სასადილოების წინან საჰმელში როგორ დაცურავდა ადამიანთა მოკვეთილი თითები.

რამ აიძულა კლერი ასეთი გამბედაობა გამოეჩინა? ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა კლერ შერიდანის დღიურებს ვკითხულობ, რომლებსაც იგი საბჭო-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



თა კავშირში მოგზაურობის დროს წერდა, ამ კითხვაზე პასუხს იმ სიტყვიერ განმარტებაში კი არ ვნახულობ, რომელსაც თვითონ აძლევს კლერი ხალხს, არამედ სკულპტურაში, რომელიც მან ის-ის იყო დაამთავრა და „1918-ის გამარჯვება“ უწოდა.

მწარეა, საშინელია ეს გამარჯვება! გაშიშვლებული ფიგურა, ოდნავ მოხუჭული თვალები, ტრაგიზმით, სევდით სავსე სახე. ულონოდ დაშვებულ მარჯვენაში ხმალი უჭირავს. მოხრილი ზურგი, ოდნავ უკან გადაწეული თავი, გაძვალტყავებული, გამოფიტული სხეულის თვითოეული ხაზი ადამიანის ტანჯვის უკიდურეს ზღვარს გამოხატავს.

„მე ძლიერ ცოტა ვიცოდი და კიდევ უფრო ნაკლებად მესმოდა, როგორც კომუნიზმის, ასევე იმ პირობების შესახებ, რამაც იგი განაპირობა“,—წერს კლერი. ანდა საიდან უნდა სცოდნოდა რამე კომუნიზმის შესახებ ამ ინგლისელ არისტოკრატს, უინსტონ ჩერჩილის ახლო ნათესავ ქალს? მაგრამ კლერის ქმარი უილფრიდი ომში დაიღუპა, ჰყავდა ვაჟიშვილი დიკი და მომავალს შეშფოთებული შესცქეროდა. საბჭოთა რუსეთი კი პასუხობდა იმ მთავარ გრძნობას, მშვიდობის წყურვილს, რითაც კლერი ცოცხლობდა.

„მე დარწმუნებული ვიყავი, — წერდა იგი, — და აქამდეც დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა რუსეთი არავითარ აგრესიაზე არ წავა... წითელი არმია არსებობს თავდასაცავად. თავდაცვის არმიის არსებობის აუცილებლობაში ახალი რუსეთი გამოცდილებამ დაარწმუნა. მაგრამ თითოეულმა წითელმა ჯარისკაცმა იცის, რომ მას არასოდეს არ გაგზავნიან სამშობლოს საზღვრებს იქით აგრესიის მხარდასაჭერად.

მას შემდეგ, რაც დიკი გამიჩნდა, გული სავსე მაქვს ომისადმი შიშითა და საშინელებით. რა უნდა ვქნა, ერთ მშვენიერ დღეს რომ წაიყვანონ და საზარბაზნე ხორცად აქციონ, ან ლაჩრის იარლიყი მიაკრან?.. რა უნდა ვქნა, თუ მას სიკვდილზე უარესი რამ უწერია... სიბრმავე, გაზით მოწამვლა. როცა მესმის, როგორ დააბიჯებენ მწყობრში ჯარისკაცები, ყოველთვის დიკსა და უილფრიდზე ვფიქრობ, უილფრიდზე, რომელსაც სიცოცხლე გააწირინეს იმის იმედით, რომ ეს უკანასკნელი ომი იყო, ომი, რომელსაც ომებისათვის უნდა მოეღო ბოლო“.

მთავარი მიზანი კლერისა, როცა მოსკოვს მიემგზავრებოდა, იყო ლენინის სკულპტურული პორტრეტის შექმნა.

ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კრემლის კომენდანტმა აცნობა, ხვალ შეგიძლიათ იმუშაოთ ლენინის კაბინეტში.

როცა კლერი ოთახში შევიდა, ლენინი წიგნებითა და ქაღალდებით სავსე საწერ მაგიდას უჯდა.

ლენინმა შეხედა კლერს, გაიღიმა, წამოდგა და შესახვედრად გაემართა. ქალმა ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის. ლენინმა გაიცინა და ინგლისურად უთხრა, იმდენი იმუშავეთ, რამდენიც გსურთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მეც ჩემს საწერ მაგიდასთან ვიჯდე და ვიმუშაო.

კლერმა ლენინის სამუშაო ოთახში მთელი ორი დღე გაატარა. სამუშაო მოითხოვდა მთელი ძალების დაძაბვას. „არასოდეს არ მინახავს ერთი კაცის სახეზე გამომეტყველებათა ამდენი ცვალებადობა, — წერდა იგი შემდეგ, — ლენინი ხან იცინოდა, ხან იღუშებოდა, ხან ჩაფიქრებული და დაღონებული იყო, ხან სევდიანი და დამცინავი, ყოველივე ერთმანეთს ცვლიდა, ვაკვირდებოდი სახის გამომეტყველებათა ურთიერთცვლას, ველოდი, ვჭოჭმანობდი. მერე უცებ, რაღაც გაშმაგებული აღტყინებით გავაკეთე არჩევანი: დიახ, მე იგი უნდა ვუჩვენო გულისყურით თვალმოხუჭული, თითქოს თანამოსაუბრეს მზერით ბურღავსო. საუცხოო იქნება! არავის არა აქვს ასეთი მზერა! ეს მისი მზერაა, მისი, მხოლოდ მისი!“

ოთახში ყოველივე სიმშვიდით სუნთქავდა. ლენინი საქმეში იყო მთლიანად ჩაფლული, როცა მდივნები პაკეტით შემოვიდოდნენ, არც კი უყურებდა, ისე აწერდა კონვერტზე ხელს.

დროდადრო ტელეფონის ზუზუნი გაისმოდა, თან მაგიდაზე პატარა ელექტრონათურა ინთებოდა. როცა ლენინი ტელეფონით ლაპარაკობდა, მისი სახე განსაკუთრებულ ცოცხალ გამომეტყველებას იღებდა. დაამთავრებდა თუ არა საუბარს, მაშინვე საქმეში იძირებოდა.

მდუმარებაში გადიოდა საათები. იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს მოკლე ფრაზებით.

და აი, ბიუსტი მზად გახლდათ. მზად იყო იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლებოდა იმ რთულ პირობებში. ლენინმა თბილად ჩამოართვა კლერს ხელი და უთხრა, კარგად შეასრულეთ თქვენი სამუშაო.

ინგლისში დაბრუნების შემდეგ, კლერმა საკუთარი სურვილით გამოკვეთა ლენინის ბიუსტი მარმარილოდან.

ახლა, როცა ამ ბიუსტის ფოტოსურათს შესცქერი, გრძნობ, მხატვარმა ლენინი გვიჩვენა მაშინ, როცა იგი თავის თავთან მარტო იყო.

ლენინმა თავი ასწია, ოდნავ მოხუჭა თვალები. აი, საცაა ხელს გასწევს, რომ კალამი აიღოს და ახლადწარმოქმნილი აზრი ჩაწეროს.

„მისი სახე ღრმა ფიქრს უფრო გამოხატავდა, ვიდრე ბრძანებლურობას, — წერდა შემდეგ კლერი. — მე იგი მესახებოდა მოაზროვნის ცოცხალ განსახიერებად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო პატარაშვილი

# გულსუნდა

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

შარაგზაზე მივდივარ, ჩემი და გულსუნდას ცხოვრების ერთი ეპიზოდი მაგონდება. ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაშინ გულსუნდას ვაჯავრებდი:

— გათხოვება არ გინდა?

გულსუნდა ფერმის ძროხებს წველიდა. დედამისი ავადმყოფობდა და ფერმაში დედის მაგიერ მუშაობდა, ისე კი ჯერ სკოლაც არ დაემთავრებინა. ფერმის საქონელი სოფლის განაპირა ფერდობზე იყო დაბინავებული. მე ურმით ქარხანაში რძეს ვეზიდებოდი და გულსუნდას ყოველ დილა-საღამოს ვხვდებოდი.

ერთხელაც ვკითხე:

— მაშ, გათხოვება არ გინდა?

გულსუნდამ ყურადღება არ მომაქცია. ვედროში რძის თეთრი შადრევნები ჩაჩხრიალებდნენ.

მდელოზე, ბაკის გვერდით, გულაღმა ვიყავი გაწოლილი. ხან ღრუბლებს შევყურებდი, ხანაც ხარიხებს იქით გულსუნდას შიშველი ფეხებისკენ გამირბოდა თვალი და არ ვასვენებდი:

— გათხოვება შენ კი არა, შენზე პატარებსაც უნდათ. ჩვენი საძმიშვილი... ჩვენი საძმივარი ბიჭს თექვსმეტი წლისა გამოუდგა, მზექალა კიდევ — ჩვიდმეტისა.

— მერე?

— მერე რა, ერთჯერ ერთი რომ ერთია, ხომ იცი?!

— ვიცი.

— ყველა ქალი რომ ქალია, ეგეცა?

— ეგეც ვიცი.

— ჰოდა, ადექი და გათხოვდი.

გულსუნდა წამოიმართა და ვედრო აიტაცა, წამოვხტი, მაგრამ გაქცევა ვეღარ მოვასწარი. რძემ თავიდან ფეხებამდე ჩამიარა და ბალახზე ჩხრიალი მოადინა.

იმის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა... თბილისი მოვიარე, უკრაინა, ბალტიისპირეთი და პოლონეთიც გავიცანი; ორი წელი დემოკრატიულ გერმანიაში ვიმსახურე.

შვებულებაში ვიყავი და გულსუნდა მაშინაც ვერ ვნახე. თბილისში საექთანოზე სწავლობს და იქ არისო.

...შუადღეა. ხალხი მინდვრად გახვეტილა. გზაზე მხოლოდ მსხვილთვალება ბიჭუნა შემომხვდა. ყვითელი თმა ჰქონდა — დაუვარცხნელი და შესასწორებელი. როდესაც გამცდა, ძალაუნებურად უკან მივიხედე. ბიჭი შემობრუნებულიყო, დოინჯი შემოეყარა და თვალს არ მაცილებდა.

— ბალღო, ვისი ხარ? — ვკითხე ბიჭს.

— მამაისი ორ! — თვალდაუხამხამებლად მომიგო.

მაგრძნობინა, მე უკვე იმ ასაკიდან გამოსული ვარ, ვისაც ამგვარ რაღაცას ეკითხებიანო. სულ კი შვიდი-რვა წლისა ჩანდა. თავი ვერ შევიკავე და გამეცინა. ბიჭს ღიმილიც ვერ შევნიშნე, წარბები ოდნავ შეეჭმუხნა. ახლა სერიოზულად ვკითხე:

— მამაშენს რა ჰქვია?

— გაგა, — მიპასუხა მან.

— ახლა სად არის მამაშენი?

— კომბაინერი გახდა, „გრძელეებში" მკის.

— უკვე დიდი ბიჭი ჰყოლიხარ, იმ ურჯულოს, — მივექლესე ბიჭს.

ის კი მაინც გამიწყრა:

— რად არის ურჯულო!

რაღა მეთქმოდა. გზისპირა რუზე გადავაბიჯე და მიწაყრილზე ჩავცუცქდი.

— მე ლადო მქვია. — ვუთხარი ბიჭს.

— ვიცი, — თქვა მან.

— მე კი დამავიწყდა, რა გქვია. მოდი, აგერ ჩამოჯექი და სახელიც მითხარი.

ბიჭი ჩემსკენ წამოვიდა, მაგრამ რუზე არ გადმოსულა. „მე ერეკლე მქვიანო," — მიპასუხა.

შარვლის ჯიბე მოვიჩხრიკე. პაპიროსი თითებში მოვსრისე. მერე სანთებელა მოვიმარჯვე და პაპიროსს მოვუკიდე.

ბიჭი დაფარული ცნობისმოყვარეობით მიყურებდა.

— ხომ არ გინდა? — შევაძლიე სანთებელა.

— არ მინდა. მამას სხვანაირი აქვს, — მითხრა მან.

— არც ეს გინდა? — მეორე ჯიბიდან ჯიბის რადიომიმღები ამოვაძვრინე და ჩავრთე.

ერთ ხანს დაკვირვებით მიყურა. რადიო მივაწოდე და მარეგულირებელი ვაჩვენე.

პაპიროსს ვწევდი და ბიჭს შევყურებდი. იგი სხვადასხვა გადაცემას უსმენდა და დიდი კაცის სიდინჯით იღიმებოდა. მივხვდი, ახლა კი ნდობას მიცხადებს-მეთქი.

— ერეკლე, გულსუნდას იცნობ? — ვკითხე ბიჭს.

— ბიძა ციხელას შვილს?

— ჰო, იმას.

— აგერ, იქ არის, — ბიჭი შებრუნდა და ხელი ქვევითკენ გაიშვირა. — საექიმო პუნქტში მუშაობს. ახლა რომ ამოვიარე, კარებში იდგა.

— ექიმიც იქ იყო?

— არ ვიცი. ახლავე გავიქცევი და გავიგებ, — რადიომიმღები მომაწოდა.

— ერეკლე, არავის არაფერი უთხრა!

— განა გოგო ვარ! — მითხრა და გაიქცა.

ამბავი მომიტანა — პუნქტში სხვა არავინაა, გულსუნდას კი თავი მაგიდაზე დაუდვია და ჩასძინებიაო.

საექიმო პუნქტი დაბლა სართულის მოზრდილ ოთახში იყო მოთავსებული. კედლები კარბიტით იყო შეთეთრებული. ჭერში აბრეშუმის ლამაზი აბაჟური ეკიდა, ეს ყველაფერი კარების ჭრილიდან მოჩანდა. აივანზე ცოტა ხანს შევიცადე. „არა, ისევ უნდა გავაბრაზო". — გავიფიქრე მე. როგორ მიხაროდა, როცა გულსუნდას გავაწითლებდი ხოლმე. ამ ოთხ წელიწადში კი ლამის მიმავიწყდა.

...ნათელა, ვალია, მარტა... ნათელა თბილისში გავიცანი. გულისპირიდან ისეთი სითეთრე მოუჩანდა, თვალი ვერ მოვწყვიტე. მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ ბლუყუნის მეტი არაფერი გამომდიოდა. ნათელას, ალბათ, ჩემი ბლუყუნი მოსწყინდა და თვით მკითხა:

— გიყვარვარ?

გაშტერებულმა შევხედე. მერე გამეღიმა და თავი დავუქნიე. ნათელამ გადაიკისკისა და მკლავში ხელი გამომდო.

— ხო, ვიცი, გიყვარვარ. გადარეული ხარ ჩემთვის, მეშინია. თვითმკვლელობამდე არ მიხვიდე! — ამას რომ ამბობდა, ისე ირონიულად იღიმებოდა, ლამის გული გამიჩერდა.

ვილნიუსში რომ გადამიყვანეს, იქ ვნახე ვალია. ჩვენი ოფიცრის ქალიშვილი იყო. ოფიცერი ერთხელ შტაბიდან გამოიძახეს. სახლიდან მისი მანქანით წაყვანა მე დამავალეს. ზარის ხმაზე ვალიამ გამოიხედა. „აბაზანაში არის შესულიო". შემიპატიჟა სახლში და ალბომი გადმოიღო. თურმე ბორჯომშიც ყოფილა, სოხუმშიც, თბილისშიც.

— მაინც, ყველაზე დიდებული ბაკურიანია. ყოფილხარ ბაკურიანში?

— დიაღ, დიდებულია, — კითხვა ბანზე ავუგდე და ალბომი გადავფურცლე.

— რიწა? გელათი? ვარძია? — არ მასვენებდა ვალია ამა თუ იმ სურათის ნახვისას.

— დიდებულია, — ვიმეორებდი მე. აბა, როგორ ვეტყოდი, არც ბაკურიანი და გელათი მინახავს, არც რიწა და ვარძია-მეთქი.

ჩემს ამოჩემებულ პასუხზე გაიღიმა, ალბათ იფიქრა, რუსული სუსტად ცოდნა საუბრის საშუალებას არ აძლევსო, და მითხრა:

— თუ გსურს, დაგეხმარები რუსული ენის შესწავლაში.

უკვე შემეძლო ჩემი სათქმელის რუსულად გადაცემა, მაგრამ ვალიას დიდი სიხარულით დავთანხმდი. საკმაოდ მკაცრი მასწავლებელი გამოდგა, ხოლო, მისი აზრით, მეც ჯიუტი მოწაფე აღმოვჩნდი.

როგორც კი კვირა დღით თავისუფლებას მომცემდნენ, მე და ვალია ზღვის სანაპიროსკენ გავწევდით. სილაზე მზეს ვეცხუნებოდით და გაკვეთილიც იქ ტარდებოდა. გადმოცემულ მასალას მთელი სიმკაცრით მოითხოვდა, ხოლო მე, რასაკვირველია, „არასოდეს დრო არ მქონდა", რომ მესწავლა და ვალიაც ისევ თავიდან იწყებდა ახსნას, იწყებდა, ვინ იცის — მერამდენედ.

ერთხელ ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— რბილ ნიშანთან ლ-ს ძალიან უხეშად ამბობ. აგრე კი არ უნდა თქვა, აი, ასე: „ბულდოზერ", „ბულვარ".

ხუთჯერ მაინც გამამეორებინა. ბოლოს იმედი გადაეწურა და გამებუტა.

— ვალია! — ვეუბნები მე.

ვალია ხმას არ მცემს.

— ვალია!

დუმს.

— ვალია, თბილისში ერთ ბაკალეია-გასტრონომიის წარწერიდან...

ვალიამ საყვედურით შემომხედა.

— ჰო, მართლა გეუბნები, ბაკალეია-გასტრონომიის წარწერიდან ასო „ლ" მოსწყდა და გამვლელს თავში დაეცა. გამვლელს თავი გაუტყდა, მაგრამ იოლად გადარჩა. მერე მაღაზიის დირექტორი ხუმრობის ხასიათზე დადგა, კიდევ კარგი „ლ" ჩამოვარდა და იოლად გადარჩი, თორემ „რ" რომ ჩამოვარდნილიყო, რა გეშველებოდაო.

ვალიამ თავი ველარ შეიკავა და გაიცინა.

მერე მარტა... ბერლინი... დავცილდი კი. თითქოს უკვე დავიწყების ბურუსში იძირებიან. მახსოვს, ერთ მკითხველს წიგნზე მიეწერა: „არავინ ისე უცხოდ არ გეჩვენება, როგორც ის, ვინც ოდესლაც გიყვარდა". რა სისულელეა. ასეც შეიძლება და ისეც. გააჩნია — როგორ დაცილდი და რატომ.

გულსუნდა არასოდეს მყვარებია. არა, სხვანაირად არ მყვარებია, თორემ გულსუნდა მთელი ჩვენი სოფლის გოგონებს მერჩივნა. ახლა იმისთვის მოვაკითხე, რომ ხალხმრავალ ქალაქებში ნაცხოვრებმა სოფელში საოცარი სიცარიელე ვიგრძენი.

ისევ ტკბილად ეძინა. იდაყვით მაგიდაზე იყო დაყრდნობილი, ლოყა მარჯვენა ხელისგულზე ჩამოედო და ისე ეძინა. მთლად გამოცვლილიყო. ჰორფლიანი სახე გადაწმენდოდა და თმაც თანამედროვე მოდაზე დაეყენებინა. გემოვნებით შეკერილი კაბა საოცრად უხდებოდა. შიშველ, თეთრ ფეხებზე წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

მე მინდა ისევ გავაჯავრო გულსუნდა: „გათხოვება არ გინდა? შენ კი არა, ჩვენი სამძივარი ბიჭს თექვსმეტისა გამოუდგა, მზექალა კიდევ ჩვიდმეტისა". გულსუნდა ჯერ ხმას არ ამოიღებს, არ ამოიღებს ხმას, მაგრამ ყურებამდე გაწითლდება. დიდი ხნის მერე მკითხავს:

„მერე?"

„მერე, ერთხელ ერთი რომ ერთია, ხომ იცი?"

„ვიცი".

„ყველა ქალი რომ ქალია, ეგაც?"

„ეგაც ვიცი".

„ჰოდა, ადექი და გათხოვდი".

გულსუნდას რძიანი ვედრო არ ექნება ხელთ, არც გაგულისდება. გაიცინებს და იტყვის: „ისევ გიჟი ჰყოფილხარ".

ჯარისკაცის ფართოფარფლებიანი ქუდი შუბლზე ჩამოვიწიე. ოთახში ფრთხილად შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. ჯიბიდან რადიომიმღები ამოვიღე და ბერლინის ტალღაზე ჩავრთე. რადიოსადგური ჯაზურ სიმღერას გადასცემდა. გულსუნდა შეიშმუშნა და მეორე ხელიც სახესთან მიიტანა, ორივე ხელში ჩაყვინთა. ხმას უფრო ავუწიე. მერე კი შემკრთალმა წამოსწია თავი, დაბნევით მომაშტერდა.

— გუტენ ტაგ! — ვუთხარი და ქუდი ავწიე. მგონია, გავიჭყანე კიდეც.

რადიომიმღები გამოვრთე, ჯიბეში ჩავიდე.

— აჰ! ოი! — სკამიანად დაიხია უკან და ფეხზე წამოხტა, — თქვენ საიდან, როგორ... რა საქმეზე...

პირი და საულვაში ახლადჩამოფხეკილი მქონდა, ბაკები — ჩამოგრძელებული. ჯარისკაცის ტანსაცმელი მეცვა. ჯარისკაცული ქუდი მეხურა — ფართოფარფლებიანი.



— ველხერ ისტ დაინე ფროინდ? — ვკითხე გულსუნდას.

იმიტომ კი არ ვუთხარი, რომ პასუხი მაინტერესებდა. მინდოდა ერთხანს გაურკვევლობაში დამეტოვებინა და ისიც მსურდა მეჩვენებინა: აი, ნახე? მართლა ისე კი არაა საქმე, შენი გაბრაზების მეტი რომ სხვა არაფერი შემეძლოს-მეთქი.

— ლადო! — დაიყვირა უცებ გულსუნდამ, გამოქანდა და გადამკოცნა.

მერე შეკრთა, გაწითლდა, ღია კარების გასწვრივ გაიხედა. გზაზე არავინ ჩანდა.

— წუხელის ავადმყოფთან ვიყავი, ღამე არ მიძინია და...

ჯერ ისიც კი არ მეკითხა, როგორ ცხოვრობთ-მეთქი, და მაშინვე ქილიკზე გადავედი.

— კიდევ არ გათხოვდი?

გაღიმებულმა შემომხედა.

— კი, გავთხოვდი.

— მართლა?

— შენ მარტო დაბრუნდი? — კარგი კითხვა კი დამახვედრა.

— ვერ დავიყოლიე. ბერლინიდან უნდა წამომეყვანა, — გავიღრიჯე, — თუმცა ვეჭვობდი, ამ მთებს ვერ შეეგუება-მეთქი. კარგი რამ კი იყო. შავთვალა, ყვითელთმიანი. ეგეთი ტანი ჰქონდა, ეგეთი!..

გულსუნდა ისევ გაწითლდა. არ იცოდა თვალები სად წაეღო. მე კვლავ დავიჭყანე.

— დიდებული გოგო იყო მარტა. შენ მართლა გათხოვდი?

— რატომ გაინტერესებს?

გულსუნდას ერთხელ კიდევ შევავლე თვალი. მასში რაღაც მახლობელს ვგრძნობდი, ნათესაურს და გასაგებს.

— ვიცი, რომ არ გათხოვილხარ. ისე, რას იტყოდი, მარტა მართლა რომ ჩამომეყვანა? „დეგენერატიაო", იფიქრებდი ალბათ.

— რატომ? მე არაფერსაც არ ვიფიქრებდი.

გულსუნდას ვაკვირდებოდი. მიკვირდა, განა ასე წითლდებოდა ხოლმე?

ვიდრე არ ვეტყოდი, „ჰოდა, ადექი და გათხოვდი", — წარბსაც არ შეიხრიდა, მერე კი გიყვარდეს, ალისფერი აჰკრავდა და, თუ თავს არ ვუშველიდი, ცუდად იყო საქმე.

გულსუნდა ისე დამშვენებულიყო, ცოდვა გამხმარი ჯობია, ვუყურებდი და მიხაროდა, არც ჩემი ნათესავია და არც არაფერი-მეთქი. ერთი ეპიზოდი მომაგონდა: მაშინ სოფელი ხევსურეთიდან ახლადჩამოსახლებული იყო. გულსუნდა ცხენიდან ჩამოვარდა და თეძო ფოსოდან ამოუვარდა. ქირურგები მოიყვანეს. გულსუნდამ არც ერთი არ გაიკარა. ქირურგები მამაკაცები იყვნენ. მერე ვიღაც ფშაველი დასტაქარი მოიწვიეს. კამეჩი ინათხოვრეთ და ერთ დღე-ღამეს მარილის მეტი არაფერი აჭამოთო. მერე ისევ მოვიდა დასტაქარი, გულსუნდასთვის შარვალი ჩააცმევინა, ქალებს გამოლასტულ კამეჩზე შეასმევინა და „მხედარი" მდინარეზე წაიყვანეს. კამეჩი წყალს ხარბად დაეწაფა. ცარიელა ფერდებმა ჯერ ლაყლაყი დაიწყეს, მერე ამოიწიეს, ამოიწიეს და გუდასავით დაიბერნენ.

— ვაი! — დაიძახა უცებ გულსუნდამ და რაღაცამ გაიჭახუნა.

— გადმოსვით! — ბრძანა დასტაქარმა.

გაფისული ნაჭრით თეძოები მაგრად შეაკრევინა და სამი თვე გაუნძრევლად ზურგზე წოლა „მიუსაჯა".

— გულსუნდა, იცი რა მომაგონდა? შენ რომ კამეჩზე იყავი ამხედრებული და მდინარისკენ მიდიოდი.

გულსუნდამ მარჯვენა ხელი ყურის ზევით, თმაზე გადაისვა და გაიღიმა.

— რატომ მოგაგონდა?

— ისე. როცა რომელიმე პლაჟზე გავივლიდი და ნახევრადშიშველ ქალებს ვხედავდი, მაშინვე ეგ გამახსენდებოდა ხოლმე.

გულსუნდამ, ალბათ, ქათინაურად ჩამითვალა ნათქვამი.

— სულ იმას ვფიქრობდი, წერილი მომეწერა, მაგრამ, არ ვიცოდი, რა მომეწერა.

— ვიცი, სამაგისო დრო სად გექნებოდა, როგორ მოახერხებდი. მარტა, ლიუდმილა, ევა... — როგორღაც უცნაურად გაიღიმა.

— ხა, ხა, ხა, არავითარი მარტა, ლიუდმილა და ევა. ისე კი...

# წერილი უცხოელი მეგობრისაგან

ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს ემახსოვრებათ 1967 წლის მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილი „შვეიცარიელი ქართველოლოგები". წერილი, რომლის ავტორია პროფესორი ქსენია სიხარულიძე, შეეხებოდა პროფესორ იოლანდა მარშევის, დოქტორ რუთ ნოიკომისა და ციურიხის გამომცემლობა „ამირანის" რედაქტორის ქ-ნ ლეა ფლურის მეტად საინტერესო საქმიანობას.

პროფესორ ქ. სიხარულიძის წერილს ერთვოდა ქ-ნ ლეა ფლურის ქართული, ლამაზი კალიგრაფიითა და გამართული ლიტერატურული ენით დაწერილი ბარათი (ავტოგრაფი).

აღნიშნული ჟურნალი გადაიგზავნა შვეიცარიაში. და აი, ხელთ გვაქვს საქართველოს უცხოელი მეგობრის ლეა ფლურის წერილი და გაზეთ „დი ველტვოხეს" 1967 წლის 22 დეკემბრის ნომერი.

გაზეთის გვერდი დათმობილი აქვს ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობის საკითხებს. ერთერთი წერილის ავტორია პროფესორი ქს. სიხარულიძე. ლექსიკონს ბეჭდავს ციურიხის გამომცემლობა „ამირანი".

მეგობრობა, რომელიც ჩვენი რედკოლეგიის მეშვეობით დავამყარეთ ქართული კულტურის, ჩვენი დამწერლობის მოყვარულსა და მოამაგე შვეიცარიელ ქართველოლოგებთან, დიდად ახარებს და ეამაყება მთელ ჩვენ საზოგადოებრიობას.

— ჯარისკაცული ხალათის ჯიბე მოვისინჯე და სურათების რჩევა დავიწყე.

ნათელა და მარტა ისე შეათვალიერა, არც იღიმებოდა და არც შუბლი შეუკრავს. არაფერი არ უკითხავს. მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი, ისიც ერთი წამით. მერე ჩემი და ვალიას სურათი მივაწოდე. პლაჟზე ვიყავით გადაღებული. სილაზე ერთად ვიჯექით და ვიღიმებოდით. ვერ მივხვდი — გულსუნდამ დაინახა თუ ვერა სურათი, უკან შეტრიალდა, მაგიდიდან ჰქა აიღო და კარისკენ გაემართა.

— ერთი წუთით! — მომაძახა მან.

ეზოში მილიდან წყალი მოჩხრიალებდა. გულსუნდამ ჰქა მთელ ხუთ წუთს რეცხა, ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოავლო, მოსვა. მე ზღურბლზე ვიდექი. სურათები ხელში მეჭირა და ველარ გადამეწყვიტა, სად წამეღო. როცა დაბრუნდა, ვიფიქრე, სურათებს მოითხოვს-მეთქი. არაფერი არა თქვა. მივხვდი, გულსუნდა უკვე სრულიად სხვაგვარ ხასიათზე იყო, ვიდრე მაშინ, როცა გამოეღვიძა და მიცნო, ვინც ვიყავი.

— გულსუნდა! — ვცადე მეხუმრა.

მან მოიხედა და მაგრძნობინა, გისმენო. უნდა მეკითხა, გათხოვება არ გინდა-მეთქი? მაგრამ რაღაცამ შემბორკა, ხმაც ვერ ამოვიღე.

— ნახვამდის, გულსუნდა! — ბოლოს ესღა მოვახერხე და კარებისკენ გავწიე.

— ნახვამდის! — მითხრა მან.

„ნუთუ!" — დამძიმებულ ფეხებს ძლივს მივაფლატუნებდი. ნახევარი გზა რომ გავიარე, უკან დავბრუნდი. კარი დახურული დამხვდა. კარს იქიდან ჯერ სრუტუნის ხმა მომესმა, მერე ჩუმი, მოგუდული ქვითინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲐᲛᲓᲔ

(ომგადახდილის მოგონება)

დიდი სამამულო ომის დროს 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკს თბილისის დაცვა ჰქონდა დავალებული. ომის დაწყების პირველ დღეებში პოლკის შემადგენლობიდან ბევრი ფრონტზე გაემგზავრა, ხოლო მათ შემცვლელებად ხუთასამდე 18–20 წლის ქალიშვილი მოვიდა. ისინი უმაღლეს სასწავლებელთა პირველი-მეორე კურსის სტუდენტები იყვნენ.

ამ დღეს ჩადგნენ წითელი არმიის რიგებში: კლარა ჩაჩხიანი, თამარ სხირტლაძე, ნუნუ გოდერძიშვილი, ნინო ჰილაძე, ბაბული თხელიძე, ოფელია ოვანოვა, თამარ დოლიძე, ევგენია ხუციშვილი, ნუცა გოგიბერიძე, იზა ატოევა, ქენია ტერმარქაროვა, ნუნუ ფოსიტაშვილი, მარო კახიძე, გოგუცა კაპანაძე, ზეინაბ თაქთაქიშვილი, მერი ფუტკარაძე, ნატა გვიმრაძე, ნელი ლომაია, მაყონა მახარაძე, ქეთევან მელია, ნათელა ხუტულაშვილი, თამარ სტურუა, ამ წერილის ავტორი და სხვები.

კომკავშირელი ქალიშვილები წავიდნენ იქ, სადაც ათასობით ადამიანს ყველაზე ძვირფასი რამ — საკუთარი სიცოცხლე მიჰქონდა სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე.

• • •

მეკავშირე თამარ სხირტლაძე და მეტყვიამფრქვევე კლარა ჩაჩხიანი პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მოვიდნენ არმიაში.

თამარის მამა, ძველი ბოლშევიკი, წითელი პარტიზანი შიო სხირტლაძე და მისი მეუღლე მარიამი ერთადერთი ქალიშვილის — ნინოს ამარა დარჩნენ. მათი ვაჟიშვილი ილია ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდა.

კლარა დამსახურებული პედაგოგის გიორგი ჩაჩხიანის უფროსი ქალიშვილი იყო.

დობილები მეტყვიამფრქვევეთა ათასეულის პირველი ასეულის მებრძოლებად ჩარიცხეს, თამარი მეკავშირეთა რიგებში ჩადგა, კლარა ზუსტი სროლის ოსტატი გახდა, მალე ათმეთაურად დააწინაურეს და ტყვიამფრქვევი ჩააბარეს...

მოკრძალებით ვფურცლავ ჟამთასვლისაგან გაყვითლებულ დღიურებს.

...თბილისს საფრთხე დაემუქრა. 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკის შემადგენლობა დედაქალაქს იცავდა. საზენიტო ბატარეები და საცეცხლე წერტები ქალაქგარეთ, შემაღლებულ ადგილებზე იყო განლაგებული.

1943 წლის სექტემბერში პოლკმა თბილისი დატოვა. ეშელონები უკრაინის მიწაზე მიჰქრიან.

ნასახლარებისა და ნანგრევების, უდანაშაულო ადამიანების ნაწამები გვამების მხილველ ქალიშვილებს თვალები ცრემლებით ევსებოდათ, გზა სავსე იყო ფათერაკებითა და მსხვერპლით.

კლარა და თამარი მეგობარ ქალიშვილებთან ერთად მოქმედ არმიაში არიან. ეშელონი მოკლე ხნით სადგურ იასინოვატაიაში ჩერდება, შემდეგ ისევ წინ მიიწევს, კვალდაკვალ მისდევს მტერს.

ფაშისტურმა ბანდებმა ქვეყანას მოსწყვიტეს დონბასი, უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ბაზა. ჩაპლინოსა და სტალინოში მედგარ ბრძოლებს აწარმოებდა 415-ე პოლკის შემადგენლობა. მაშინ პირველად დააშორეს დობილს თამარი, იგი შტაბში იყო მეკავშირედ. კლარამ მიიღო საბრძოლო დავალება — ასეულთან ერთად გამგზავრებულიყო ქ. სტალინოში აეროდრომის დასაცავად. აქედან საბჭოთა ჯარების დესანტი მტრის ზურგში უნდა გადაესხათ. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში იდგა აქ სერჟანტ კლარა ჩაჩხიანის ათეული. მან ჩინებულად შეასრულა დავალება, არაერთხელ აუბნია გზა-კვალი მტრის თვითმფრინავებს.

სვავები არ ისვენებდნენ.

დნეპროპეტროვსკთან, ნიუნიდნეპროვსკის რაიონში მტერმა უკან დახევის დროს ორსართულიანი ხიდი ააფეთქა. მის მაგივრად კილომეტრ-ნახევრიანი საპონტონო ხიდი შენდებოდა. ამ ხიდზე უნდა გაევლო უკრაინის ფრონტის თითქმის ყველა ჯარის ნაწილს. ფაშისტთა ავიაციისაგან ხიდის დაცვა ჩვენი პოლკის შემადგენლობას დაევალა.

გერმანელთა ავიაცია ყოველდღიურად 4-5 ჯერ ესხმოდა თავს ხიდის მშენებლობის რაიონს.

მეზენიტეები საკადრის პასუხს აძლევდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

იმ დღეებში მეტყვიამფრქვევეთა ათასეული ნიუნიდნეპროვსკის რაიონში ხიდთან იყო დაბანაკებული.

ბომბდამშენები გამაყრუებლად ხმაურობდნენ, ხიდს თავს დასტრიალებდნენ. ერთი ოცეული პატარა კუნძულზე მოეწყო მდინარეში.

ყინული დნობას იწყებდა.

უეცრად შტაბთან კავშირი გაწყდა. საჭირო იყო გაწყვეტილი ხაზის აღდგენა, იგი დნეპრზე გადიოდა. მოდრეიფე ყინულზე ფეხის დადგმა თავის გაწირვას ნიშნავდა. არა და ხიდს საშიშროება ელოდა.

ვერავინ გაბედა გაყინულ მდინარეზე ფეხის დადგმა.

უცბად, მეკავშირეებს მომცრო ტანის ქალიშვილი გამოეყო და მდინარეში ჩასასვლელად მოემზადა.

ეს იყო მეკავშირე თამარ სხირტლაძე.

იგი ატივტივებული ყინულიდან ყინულზე მსუბუქად ხტებოდა და ასე მიიკვლევდა გზას წინ.

ყინულს სატელეფონო მავთული გაეგლიჯა, ღამით მისი მეორე ბოლო ვერ იპოვა, რომ გადაება, და სასწრაფოდ ახალი კაბელი გაჭიმა. აღსდგა კავშირი ოცეულსა და შტაბს შორის.

მალე ყურმილში გაისმა ბრძანება ცეცხლის გახსნის შესახებ.

ტყვიამფრქვევების ცეცხლმა ხიდი დაბომბვას გადაარჩინა, მტრის თვითმფრინავებმა ბომბები უმიზნოდ გადმოჰყარეს.

ქართველი გოგონები ჩინებულად ასრულებდნენ საბრძოლო დავალებებს. სამშობლო დიდია. სამშობლო მარტო საქართველო კი არ არის, შენი სამშობლოა მთელი საბჭო-

თა კავშირი! — ამ რწმენით იბრძოდნენ ისინი, ამას მოითხოვდა ხალხის, პარტიის ინტერესები.

* * *

საზენიტო-საარტილერიო პოლკის შემადგენლობა მტერს კვალდაკვალ მისდევს, დნეპროპეტროვსკიდან საბრძოლო გზა ვარშავაზე გავლით დასავლეთ გერმანიამდე გრძელდება. მებრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტთა საავიაციო და ცოცხალ ძალას.

აბა, რა დაავიწყებს იმ ქარცეცხლიან დღეებს ქალიშვილებს!

მარტოდმარტო დგომა ტყეში შაშხანით ხელში, შიმშილი, სიცივე, უძილო ღამეები. ბეწვზე ეკიდა მათი სიცოცხლე, მაგრამ ყველაფერს იტანდნენ, დარწმუნებული იმაში, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

პოლკმა პოლონეთ-გერმანიის საზღვარი გადალახა.

ბრესლაუმდე არ უშვებდნენ მტრის თვითმფრინავებს, რომლებსაც ფაშისტთა გარნიზონისათვის საკვები და საბრძოლო რესურსები უნდა მიეწოდებინა. შეშინებული გერმანელები თვითმფრინავებიდან პარაშუტებით ეშვებოდნენ და ტყვედ ნებდებოდნენ.

— ბატალიონის მეკავშირედ დამტოვეს, — იგონებს თამარ სხირტლაძე, — ტყეში შეფარებული გერმანელები კაბელებს წამდაუწუმ გვიჭრიდნენ, საცეცხლე წერტებთან კავშირის გაწყვეტა კი არ შეიძლებოდა, ხაზის აღდგენა საშიში იყო. ხან კაბელის აღსადგენად მივდიოდი შეიარაღებული, ხან ტელეფონთან ვმორიგეობდი, ამას გარდა ასეულის საიდუმლო მოქმედების სქემის დახაზვაც მქონდა დავალებული.

ბრესლაუს ირგვლივ რკალი თანდათან ვიწროვდებოდა.

ბრძოლა დაძაბული ხდებოდა.

ამ დღეებში პოლკის შენაერთებმა საერთო ძალით მტრის 24 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისათვის 415-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი „წი-

კლარაც მონაწილეობდნენ.

* * *

...ომის ღრუბლებმა გადაიარა.

დადგა მშვიდობიანი შემოქმედებითი დღეები.

კლარა და თამარი კვლავ მშობლიურ ინსტიტუტს დაუბრუნდნენ, უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს.

თამარმა თავისი ბედი ფრონტელ მეგობარს შოთა უთნელიშვილს დაუკავშირა.

კლარა გულისწორს თბილისში შეხვდა. ორივე დობილმა ქართული ოჯახები შექმნეს.

ინჟინერმა კლარა ჩაჩხიანმა მუშაობა თბილმშენის № 1 სამშენებლო სამმართველოში დაიწყო. მას ცოტა წვლილი როდი მიუძღვის თბილისის გამშვენიერებაში. მისი მონაწილეობით აიგო ვაკის პარკის ცენტრალური შესასვლელი, „ქარიშხალას" სტადიონი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 123-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და მრავალი სხვა შენობა.

ახლა კლარა კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოში მუშაობს



კლარა ჩაჩხიანი



თამარ სხირტლაძე



ლიდა აროშიძე

1945 წლის 23 მარტი იყო.

ზარაუპეკის ტყეში დაბინავება ვერც კი მოასწრეს, რომ „მესერშმიტებმა" ცეცხლი გახსნეს, მტრის თვითმფრინავებმა რამდენიმე ამხანაგი იმსხვერპლეს.

პოლკმა ბრესლაუმდე მისდია მტერს.

მთელი ქალაქი გაჩანაგებული იყო. იწვოდა რკინა და ბეტონი, მიდამოს ანათებდა ცადაწვდენილი კოცონები.

ცეცხლი ჩაუქრობლად ენთო ბრესლაუს ქუჩებში. ალყაში მოქცეულ მოწინააღმდეგეს არ სურდა იარაღის დაყრა.

ჩვენი ქვემეხები და ტყვიამფრქვევები

თელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოვდა, ბევრ შენაერთს გვარდიულის წოდება მიენიჭა. ამ გვარდიული შენაერთების მეომრები იყვნენ კლარა და თამარი.

* * *

1945 წლის 6 მაისს დაყარა იარაღი ბრესლაუს ფაშისტურმა გარნიზონმა და ქალიშვილებისთვისაც იქ დამთავრდა ომი.

გამარჯვების დღე 9 მაისი ბრესლაუში იზეიმეს პოლონელ მშრომელებთან ერთად. თეატრი, რომელიც შემთხვევით გადაურჩა დანგრევას, ხალხს ვერ იტევდა. სცენაზე პოლკის თვითმოქმედი კოლექტივი გამოვიდა. მასში სხვებთან ერთად თამარი და

მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

თამარმა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 41-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში ინჟინერ-პედაგოგად დაიწყო მუშაობა. სასწავლებელი ყოველწლიურად 250-300 კურსდამთავრებულს უშვებს კვების მრეწველობის საწარმოებისათვის.

* * *

დღე დღეს მისდევს, თვე — თვეს, წელიწადი — წელიწადს. ყოველი წლის 9 მაისს 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკის ყოფილი მებრძოლები ერთად იკრიბებიან, იგონებენ განვლილ დღეებს...

ლიდა აროშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაღალი ჯილდო

ამას წინათ წალენჯიხის საშუალო სკოლამ იზეიმა თავისი არსებობის ოცდაათი წლისთავი. პენსიონერმა ბაბო ჭაჭიაშვილმა სიხარულით მიიღო ამ საღამოზე მიწვევა. მან ხომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირველად ამ სკოლაში დაიწყო მუშაობა. ახლაც ისეთივე გულის ძგერით შეაღო სკოლის კარი, როგორც მაშინ, პირველად. ნაცნობი სახეები შემოხვდნენ კარებშივე, თუმცა ცოტა შეცვლილი, მაგრამ მაინც ნაცნობი და ახლობელი. მერე ისინი გარს შემოეხვივნენ და საზეიმოდ მორთულ ოთახში შეიყვანეს. სიხარულის ცრემლმორეული შეჰყურებდა მათ. რამდენი მოგონება არის დაკავშირებული ამ სახეებთან. ბაბოს გაახსენდა, სკოლაში მუშაობის დროს ერთ-ერთ ასეთ საზეიმო საღამოზე სკოლას სტუმრად აკაკი შანიძე რომ ეწვია. „შენ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში უნდა გადმოხვიდე სამუშაოდ“, — უთხრა მეცნიერმა ყოფილ სტუდენტს და ბაბოც თბილისში გადავიდა.

ერთდროულად მან გაზეთ „კოლექტივიზაციაშიც“ დაიწყო მუშაობა. თავისი წერილებით მტკიცედ ჩადგა ახალი ცხოვრების მშენებელი ქართველი ხალხის სამსახურში. იგი, როგორც ჟურნალისტი, გაზეთების: „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „კოლექტივიზაციის“ ფურცლებიდან ეწეოდა საკოლმეურნეო ცხოვრების პროპაგანდას, ხელს უწყობდა ქალთა მასების გათვითცნობიერებას, მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას.

1934 წელს გაზეთი „კოლექტივიზაცია“ დაიხურა.

1935 წლის ოქტომბრიდან ბაბო ჟურნალ „ოქტომბრელის“ (ახლა ჟურნალი „დილა“) რედაქტორად დანიშნეს.

ბაბო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგა მუშაობას. ცდილობდა ჟურნალისთვის ისე შეერჩია თემები, რომ დაეკმაყოფილებინა თანამედროვე ბავშვის გემოვნება. ზრუნავდა ჟურნალის გარშემო შემოეკრიბა ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები. და მართლაც, ამ დროისათვის ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ეკატერინე გაბაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ლავრენტი ჭიჭინაძე, გიორგი კაჭახიძე.

ალბათ, სწორედ ამ მიზნით ესტუმრა ჟურნალისტი ქალი ეკ. გაბაშვილს სახლში. მერე თავის წერილში — „ეკატერინე გაბაშვილი“ (ჟურნალი „ოქტომბრელი“, 1935 წ. № 12) — გახარებული აცხადებდა: „იგი გვპირდება ჟურნალში თანამშრომლობას...“

ორი წელი ხელმძღვანელობდა ბაბო ჭაჭიაშვილი ამ ჟურნალს და ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთა... ბოლოს, თავიდანვე ბავშვების მოყვასი ბაბო, ისევ სკოლას დაუბრუნდა და თავისი მოღვაწეობის ბოლო თექვსმეტი წელი ბავშვების აღზრდას მოახმარა.

ჯერ ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლაში დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის (აგრეთვე რუსული ენის) მასწავლებლად მუშაობა, მერე ზესტაფონის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში გადაინაცვლა.

რამდენი საამაყო შვილი გაუზარდა ბაბომ სამშობლოს. ახლა ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ და არ ივიწყებენ აღმზრდელი პედაგოგის დიდ ამაგს. სწორედ მათ გაიხარეს ყველაზე მეტად, როცა საყვარელი აღმზრდელი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს!

მას მაღალი ჯილდო მიულოცეს თანაკურსელებმაც: გ. ჯიბლაძემ, მიხ. ჩიქოვანმა, გ. ნატროშვილმა, დ. ბენაშვილმა. მთავრობის სასახლის სხდომის დარბაზში, როცა ორდენი გადასცეს, მასთან მივიდა აკადემიკოსი აკაკი შანიძე, გადაეხვია და გულითადად მიულოცა ჯილდოს მიღება.

ამ ჯილდოს ბაბო ჭაჭიაშვილი დიდი სიყვარულით ატარებს თავდადებულ და უმწიკვლო შრომაში გატარებული დღეების მოსაგონებლად.

ლამარა დოჭვირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგო თომაძე

# „ცის ცრემლები“

მირზა გელოვანის ხსოვნას

ის ჯერ ჭაბუკი იყო, თითქმის ბიჭი. უყვარდა მთაწმინდის ცა. კიდევ ერთი გოგონა უყვარდა. გოგონა ცხოვრობდა მთაწმინდაზე, სულ მაღლა, ძველ უბანში. მისი სახლისკენ გზა ვიწრო შუკებით მიემართებოდა. სახლის ეზოს მაღალი ღობე ჰქონდა შემორტყმული. შიგ ჩიტსაც კი უჭირდა ჩაფრენა. მაგრამ ბიჭი ღობის ღრიჭოდან ხედავდა, როგორ ჰყვაოდა გოგონას ეზოში ნუში და ალუჩა, როგორ ჰყვაოდნენ ალუბლები. შემდეგ კი, მოგვიანებით, დამსხვილდებოდა და ჩაშაქრდებოდა ცერისსიმსხო ხართუთა. გოგონას ცაცა ერქვა. ჭაბუკი ხშირად რითმავდა ერთად მთაწმინდის ცას და ცაცას. შფოთავდა შეყვარებული ჭაბუკის სული. საღამო ჟამს, ღია ფანჯარაში შემოიჭრებოდა უძილო ღამე. შფოთავდა ღამეც. და თუ, ასეთ ღამეს წამოვიდოდა წვიმა, მას უხაროდა, წვიმაში ხედავდა თანამგზავრს. უყვარდა იგი და ეძახდა „ცის ცრემლებს“.

წვიმის დროს იგი იდგა ღია ფანჯარასთან და სურდა გაფრენა შორეული მთებისკენ. მთები ელოდნენ მას, როგორც მეგობარს ელის მეგობარი. შემდეგ გადაშლიდა უბის წიგნაკს და წერდა.

— „შენ ალბათ დგეხარ ღია სარკმელთან და ხელით ეთამაშები „ცის ცრემლებს“, მეც ვდგევარ გაღებულ ფანჯარასთან და მინდა გავფრინდე შორეული მთებისკენ. შენ კი ვერ ამჩნევ მათ.

გაივლის დრო, გადაიელვებს გატაცება. გადაიღებს წვიმა და დამავიწყდება შენი სახე, რადგან მესტუმრება სიკვდილის ცივი ხელი და ალერსით მიმიღებს დედამიწა.

მაგრამ...

იქნება კიდევ წვიმა. ჩემს სარკმელთან გამოჩნდება ჩემი ლანდი. და... განმეორდება ისტორია...

შენ გაგახსენდები მე და მოგინდება ჩემი ნახვა.

გარეთ კი ისევ იწვიმებს და ჩემი ლანდიც გაფრინდება შორეული მთებისკენ“.

და აი, დაიწყო ომი. სამშობლომ მოითხოვა ჯარისკაცი. იგი მთაწმინდის ვიწრო შუკებით დაეშვა ქვევით და გავიდა ფართო შარაზე. შემდეგ კი... რკინიგზები, საჰაერო გზები, ფრონტი... იდგა იგი იარაღით ხელში და ებრძოდა მტერს. იცავდა სამშობლოს, რომ იქ, შორს, მის საყვარელ ქალაქში მტრის „მესერშმიტები“ არ შეხებოდნენ მთაწმინდის ცას, რომ ყოველ გაზაფხულს, იმ სახლის ეზოში, მას რომ უყვარდა, ეყვავილათ ნუშისა და ალუჩის ხეებს. აყვავილებულიყვნენ ალუბლები, შემდეგ კი, მოგვიანებით, ჩაშაქრებულიყო ხართუთა.

ერთიმეორეზე უფრო მკაცრი იყო ომის მრისხანე წლები. მოუღლელი და გაუტეხავი იყო საბჭოთა ჯარისკაცი. და აი, უკანდახეულ მტერს კვალდაკვალ მისდევდა ჭაბუკი მეოცნებე თვალებით. იქ, ბელორუსიის ფრონტზე ესტუმრა მას „სიკვდილის ცივი ხელი და ალერსით მიიღო დედამიწამ“.

დიდხანს ელოდნენ მშობლები, ძმები და დები, ნათესავები და მეგობრები შინმოუსვლელ ჭაბუკს. შემდეგ კი იპოვეს მისი საფლავი და ერთი მუჭა მთაწმინდის მიწა მიაყარეს.

იმ სახლს კი, მთაწმინდაზე, ჭაბუკ პოეტს რომ უყვარდა, ისევ მაღალი ღობე აკრავს. გაზაფხულზე ეზოში ისევ ჰყვავის ნუში და ალუჩა, ჰყვავიან ალუბლები. ღია სარკმელთან დგას ცაცა და „ცის ცრემლებს“ ხელით ეთამაშება. მხოლოდ ღობის ღრიჭოდან აღარ იჭვრიტება პატარა ბიჭი მეოცნებე თვალებით. ნუშისა და ალუჩის ყვავილებში განაბულა მისი საოცარი სული. იქიდან უღიმის მთაწმინდის ცასა და ქალს. შემდეგ კი მოგვიანებით, მისი ლანდი შეუმჩნევლად მიფრინავს მაღალი მთებისკენ.

მთვარისა კერესელიძე

## და სიყვარულის ალავერდს...

დამდგარან მთები თუშეთის,
ნისლების მანდილს იხვევენ.
მხრით მოაქვთ საუკუნენი
ბახტრიონს, — ბებერ ციხეებს.
მოყვარეს მოყვრად ხვდებიან,
მტერთან უკან არ იხევენ.
მზით, ბალადების სიუხვით,
მთა შეგვხვდა ლალი, ფხიანი,
ხალიჩად ეგოთ ჰიუხებს
ველები ალაზნიანი.
ცაზე ეუვნებით ეკიდა
საჯიხვეები კლდიანი,
ლექსად გვიხმობდა მთებიდან
წამოქოჩრილი ნიავი.
ლელაის ჯიშის ქალებო,
ზეზვაის ჯიშის ვაჟებო,
თქვენს სუნთქვას მივეძალები,
თქვენს მთებში ვირიჟრაჟებო.
თქვენი ღიმილი მფარავდეს,
ჩვენი და-ძმობა გვენებოთ...
და ჯიხვისრქიან ალავერდს,
თქვენთან ვარ, ალვანელებო!

## სურათი

კლდეზე ჯიხვი დგას ყელმოღერილი,
დაბლა მოშხუის შმაგი შხარულა,
კლდეზე ჯიხვი დგას ყელმოღერილი,
ჯიხვი ჯოგიდან გამოპარულა.

ჯიხვი ჯოგიდან გამოპარულა,
ცალს ელოდება მთის სიამაყე.
დაბლა მოშხუის შმაგი შხარულა,
მზე ოქროს სხივით თმებს უვარაყებს.
კლდეზე ჯიხვი დგას ყელმოღერილი.

## აქ ერთი ბიჭი ჰყიდიდა იებს

აქ ერთი ბიჭი ჰყიდიდა იებს,
პატარა ბიჭი მზისფერ ხალათა,
აქ ერთი ბიჭი ჰყიდიდა იებს,
იებით სავსე ჰქონდა კალათა.
საით წავიდა მზისფერ ხალათა,
თუ მიეფარა წვიმას და ავდრებს?
მას იით ჰქონდა სავსე კალათა
და გაზაფხული მოჰყავდა ადრე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# [illegible]

1921 წლის ზაფხული იყო. ხაშურელი სცენისმოყვარენი თბილისიდან დასასვენებლად ჩასული დუდუ ძნელაძის (მსახიობი და რეჟისორი, ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) დახმარებით უ. ჰაჯიბეკოვის ცნობილ ოპერეტას „არშინ-მალ-ალანს“ ამზადებდნენ. განაწილდა ყველა როლი, მაგრამ თელის შემსრულებელი ვერ შეარჩიეს. შეწუხებულ დ. ძნელაძეს ვიღაცამ ურჩია, სურამიდან ჩამოეყვანათ ერთი ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ზედგამოჭრილი იქნებოდა ამ როლისათვის. მართლაც სასწრაფოდ გაგზავნეს სურამში საგანგებო ორთქლმავალი და ჩამოიყვანეს სრულიად ახალგაზრდა გოგონა. მაგრამ, სჯობს, თავად დუდუ ძნელაძეს მოვუსმინოთ: „...სურამიდან ჩამოიყვანეს ერთი გამხდარი, მეტად სანდომიანი 14-15 წლის გოგონა. ამ გოგონამ თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება თავისი მუსიკალობით და უტყუარი სცენიური მონაცემებით. მაშინვე გადავეცი მას თელის როლი, რომელიც საუცხოოდ შეასრულა და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა“.

ეს გოგონა მერი დავითაშვილი იყო, ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ცნობილი მსახიობი, საოცრად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი, რომელსაც თავის თავზე ერთი სიტყვაც ვერ დავაცდენინეთ. მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მისი მეგობრების, პარტნიორების, მისი ნიჭის თაყვანისმცემლების და თეატრალური რეცენზიების საშუალებით შეგვეკრიბა მასალები.

მერი პეტრეს ასული დავითაშვილი დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა ბაქოს ქალთა გიმნაზიაში. მეტისმეტად ცოცხალი და მოძრავი გოგონა უკვე 9 წლის იყო, როდესაც სასკოლო სპექტაკლებში მონაწილეობდა. გარდა ამისა, მეზობლის ბავშვებთან ერთად სახლშიც მართავდა სპექტაკლებს.

1920 წლიდან დავითაშვილების ოჯახი ხაშურში გადავიდა საცხოვრებლად, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერიმ, როგორც მსახიობმა, აქვე გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი სცენაზე.

1924 წელს მ. დავითაშვილმა თბილისის ქალთა მე-12 ტექნიკუმი დაამთავრა. იმავე წელს, თეატრის დიდმა სიყვარულმა მიიყვანა იგი აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში, რომელიც 1926 წელს დაასრულა.

1927 წელს მერი დავითაშვილი მუშაობას იწყებს თბილისის მუშათა თეატრში (ამ თეატრს მაშინ მ. ჭიაურელი ხელმძღვანელობდა), პირველსავე სეზონში მიიქცია მაყურებლისა და პრესის ყურადღება. მაშინდელ პრესაში მრავალი რეცენზია შეგვხვდა, სადაც ქებით იხსენიებენ ახალგაზრდა მსახიობს და კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მსახიობს პანოლის პიესაში — „დიდების გამყიდველნი“, სადაც ის ივონას როლს ასრულებდა, და ა. ლუნაჩარსკის პიესაში — „ამფეთქებელნი“ (რირეტა).

1928 წელს, როდესაც კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ქუთაის-ბათუმის თეატრი, მერი დავითაშვილი, როგორც ნიჭიერი მსახიობი, მიწვეულ იქნა დასში. დღეს კი განაგრძობს მუშაობას მარჯანიშვილის თეატრში.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მერი დავითაშვილის მიერ განსახიერებული ყველა როლი, მთავარია ის თუ ეპიზოდური, გამოირჩევა შესრულების დიდი სიფაქიზით, უშუალობით, გულწრფელობით და ყოველთვის განსაკუთრებით არის აღნიშნული და შექებული პრესაში.

მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრის პირველსავე სეზონში, 1928 წელს, დიდი მოწონება ხვდა მ. დავითაშვილს ბეგლარის დის როლში (კ. კალაძის პიესა „როგორ“).

გადიოდა წლები, ოსტატდებოდა მსახიობი და მის მიერ შესრულებულ ყოველ როლს ახალ-ახალი გამარჯვებები მოჰქონდა. ხორეშანი „კაცია ადამიანში“, ერთ-ერთი სტუმარი ქალი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“, ანა პავლოვნა ა. სამსონიას „ბაგრატიონში“, სათუთი და ერთგული ნანინი „მარგარიტა გოტიეში“, პეპელა გ. მდივნის „ვარდოში“, ოჯახის მოსიყვარულე მზრუნველი დედა. ს. კლდიაშვილის „დაბრუნებაში“, ქარმიანა — კლეოპატრას ერთგული მსახური შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა-

ში“, ძიძა ნ. ჰიკმეთის პიესაში — „ლეგენდა სიყვარულზე“, სამშობლოს მოყვარული, უანგარო რუსი დედა ლ. ლეონოვის „შემოსევაში“, მორჩილი ცოლი და დედა ა. კრონინის „კერპში“ („ბროუდის ციხე-სიმაგრე“) და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ მის მიერ შესრულებულ ორ როლზე: ესენია ნიმფა (მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“) და ანეტა (ა. აღლაძის „მღელვარე დღეები“).

1960 წელს მ. დავითაშვილმა დიდი ოსტატობით განასახიერა ნიმფას როლი. სახის გარეგნულ, კარგად მიგნებულ სახასიათო ფორმასთან ერთად, მსახიობმა შეძლო მოენახა ნიმფას ფუქსავატური სულიერი სამყაროს გადმოსაცემად დიდი გემოვნებით დამუშავებული მხატვრული დეტალები. ნიმფას სახე მსახიობის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო და ის თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდით გ. შავგულიძის ხარიტონს, ვ. გოძიაშვილის ლუარსაბს და ს. თაყაიშვილის ბებიას.

ასეთივე დაუვიწყარი იყო მ. დავითაშვილი ქალბატონ ანეტას როლში. მან დიდი სიფაქიზით დაგვიხატა წარმავალი სამყაროს წარმომადგენლის, ახალი ცხოვრების მოახლოებით დაბნეული, შეშფოთებული და უმწეო კნეინა ანეტას სახე.

ყველაზე უფრო კარგად სწორედ ამ ორ როლში იგრძნობოდა ნიჭიერი შემოქმედის — მერი დავითაშვილის ერთი შესანიშნავი თვისება — მსახიობის, როგორც მოქალაქის, დამოკიდებულება მის მიერ განსახიერებული გმირებისადმი. ის დასცინოდა ნიმფას, მკაცრი იყო მის მიმართ, მაგრამ არ დასცინოდა ანეტას, ძალიან გულთბილად მოგვითხრობდა მის ცხოვრებაზე; მაგრამ მის შესრულებაში იყო ისეთი რაღაც, რომ მაყურებელი გრძნობდა: მ. დავითაშვილის მიერ განსახიერებული ანეტა ვერაფრით ვერ გადაურჩებოდა მოახლოებულ ქარიშხალს.

თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ სპეციალური წერილი უძღვნა მ. დავითაშვილის ანეტას, სადაც აღნიშნა, რომ მისი ანეტა თან მიჰყვება მაყურებელს სპექტაკლის შემდეგ, როგორც ახლადშეძენილი ნაცნობი. ჩვენ თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები მ. დავითაშვილის მიერ განსახიერებულ ყველა როლზე, რომლებიც მართლაც და კარგი ნაცნობებივით მიგვყვებიან თან — ნიმფაა ის, ანეტა, ნანინი, ქარმიანა თუ ხორეშანი.

მ. დავითაშვილმა სულ სამიოდე კინოფილმში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მის მიერ შექმნილმა სახეებმა კინომაყურებლის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ესენია: ქაბატო (ფილმში „ქეთო და კოტე“), თიმსალ-მაკო („ბაში-აჩუკი“) და მარიამი („ნინო“).

60 წელი შეუსრულდა მერი დავითაშვილს, აქედან 45 წელზე მეტი თეატრს შესწირა. კიდევ მრავალ საინტერესო სახეს მოელის მაყურებელი საყვარელი მსახიობისაგან.

**ნათელა ლაშხია**



ხორეშანი — „ქალი-ადამიანი?!“



ქატინა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.



მარგარეტ — „კრეპი“.



ვერა ჩუბარევა

კაკალა სიხარულიძე

საქართველოს ღვინის ქარხნებში შესანიშნავი ღვინისგადამამუშავებელი მანქანები დგას. ასეთი მანქანები რუსეთის ღვინის ქარხნებშიც არის. საქართველოდან ისინი საზღვარგარეთაც იგზავნება...

ჩვენ შევესწარით ასეთ სურათს:

მანქანაზე იტვირთებოდა ვეებერთელა ხის ყუთი. ეზოში თავი მოეყარა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკებს. აქ იყვნენ ქარხნის დირექტორი ლეონ აივაზოვი, მთავარი ინჟინერი კარლო კილაძე, პარტბიუროს მდივანი სერგო გელაშვილი, ინჟინრები და მუშები. გაცილება საზეიმო იყო. თვეების მანძილზე მანქანას ყველას ხელი ეხებოდა. ამ ხელებიდან მასზე იხარჯებოდა ენერგია. შემდეგ იგი ააწყვეს, გაალამაზეს, ყუთში მოათავსეს და ასეთი მისამართი დააწერეს: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა.

გაცილება ამაღელვებელი იყო. როცა შეიძლებოდა დაესვენათ და ოფლი მოეწმინდათ, მაშინ დატოვა მანქანამ თავი-



სი მშობელი საწარმო და გაუდგა შორეულ გზას.

ასეა აქ ყოველთვის. ღვინის გადამამუშავებელი მანქანები აქედან მიდის ყველგან, სადაც იგი სჭირდებათ.

ქარხანაში კი ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

თქვენ აქ შეხვდებით პატიოსან და შუბლნათელ ადამიანებს. ისინი ამაყები არიან. უკვე ათეული წლებია მათ არ იციან წარუმატებლობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის პირველ ადგილზეა ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა. ყოველწლიურად გარდამავალი დროშა აქ იმკვიდრებს ბინას. გასულ წელს კი უფრო მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმენი გავხდით: საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საწარმოს გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა



მაისო წიტაიშვილი



და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა.

დამსახურება ასე დაფასდა!

ქარხანა 100 წლისაა. ის ელიას უბნის კალთებზეა აშენებული. 100 წლის წინათ აქ ჩაუყრიათ სამხედრო იარაღის ქარხნის საფუძველი. ქარხნის მუშები წლების მანძილზე ითმენდნენ შიმშილსა და უსამართლობას. მერე ისინი ბოლშევიკებს უგდებდნენ ყურს, ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ. როცა საქართველოდან მენშევიკური მთავრობა გაიქცა, არსენალის მუშებმა უვნებლად ჩააბარეს ქარხანა წითელ არმიას. ამის შემდეგ მუშების მეგობარი გახდა სერგო ორჯონიკიძე. ის მათთან ხშირად იყო, კითხულობდა მოხსენებებს, ესაუბრებოდა, საქმეში შველოდა. აქ ყველა იცნობდა სერგოს. და ამიტომაც ძველი არსენალის ბაზაზე რეკონსტრუირებულმა მანქანათმშენებელმა ქარხანამ ორჯონიკიძის სახელი დაირქვა.

დღეს მისი პროდუქცია მსოფლიოში ცნობილი. მისით ამაყობს რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი.

ქარხანაში ამაღლებული შრომითი განწყობილებაა. ყველა ფიქრობს შეასრულოს ხუთწლედი ვადაზე ადრე. საჩამომსხმელო საამქროში ახალგაზრდა მუშის ვერა ჩუბარევას მუშაობამ გაგვიტაცა. იგი თვითდაჯერებით იდგა, გამოზომილი ჰქონდა მოძრაობა, სწრაფად ამზადებდა ახალ-ახალ კოპებს. დღეში დაახლოებით 50 კოპი გამოდის მისი ხელიდან. თუ კოპი არ ექნებათ, ქარხანაში მანქანის ვერც ერთ დეტალს ვერ ჩამოასხამენ. აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვერას შრომას! ვერას მეუღლეა ვიქტორ ჩუბარევი, ქარხნის მღარავი, რომელიც აქ ყველას უყვარს. ვერას მშობლებიც ამ ქარხანაში მუშაობდნენ წინათ. ასე რომ, ქარხანა ვერასთვის ბავშვობიდან ნაცნობი და ახლობელი იყო. როცა წამოიზარდა, იგი უყოყმანოდ მოვიდა აქ და მშობლების საქმიანობა გააგრძელა.

ექსპერიმენტალურ-საიარაღო საამქროში უფროსის მოადგილე კაკალა სიხარულიძე გავიცანით. უმისოდ საამქროში არაფერი არ კეთდება. საამქრო კომუნისტური შრომის საამქროს სახელს ატარებს. აქ მზადდება ყველა იარაღი, რაც ქარხანას სჭირდება. აქვე უშვებენ ახათვისებელ ახალ მანქანებს. მაღალხარისხოვანი ღვინის მიხაღებად საამქრომ 10-ტონიანი ღვინის საწნეხი დაამზადა. კომისიამ მოიწონა იგი და მიმდინარე წელს ქარხანას 15 ასეთი მანქანის გამოშვება დაეკისრა.

ქარხნის მთავარ დისპეტჩერს მაისო წიტაიშვილს მაშინ მივუსწარით, როცა საამქროების სამუშაო გრაფიკს ადგენდა. გრაფიკის შედგენისას იგი ითვალისწინებს ერთ ამოცანას — შეასრულონ ხუთწლედი ვადაზე ადრე. მაისო წიტაიშვილი ყოველდღე ამოწმებს საამქროების მუშაობას. ოთხივე საამქრო — საჩამომსხმელო, მექანიკური, საამწყობო და საიარაღო ერთმანეთს მხარდამხარ მიყვება. მთავარი დისპეტჩერის დაკვირვებული თვალი ატყობს, რომ აქ ხუთწლედს ადრე შეასრულებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო აბაშიძე

# ანასტასია ერისთავ-ხოშტარია



დაბადების 100 წლისთავი

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია დაიბადა 1868 წელს სოფელ მეჯვრისხევში. დედით იგი ბაგრატიონ-დავითაშვილების შთამომავალი იყო, მამა კი — „რუსეთუმეთ“ ცნობილი — ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა. დიდედამ და პაპამ ბავშვი აღსაზრდელად სოფელ ფცაში წაიყვანეს. პატარა ტასო იქ სოფლური შთაბეჭდილებებით იზრდებოდა, ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მწერლის თვალთახედვა ასე მხატვრული და მდიდარია:

„ ლომა კამეჩს ზურგზე დაჯდომოდა კაჭკაჭი, თამამად, ნებივრად. აქეთ-იქით დახტოდა, დროდადრო ნისკარტს ჩაჰკრავდა ხოლმე, მაგრამ სულგრძელი ლომა არ უწყრებოდა, თითქოს კიდევაც იამებოდა ცელქი მხედრის ნაზი ღიტინი“ ან კიდევ:

„ოქროსფერი თავთავი ირხეოდა, ღელავდა, თან იზნიქებოდა, თან წელში სწორდებოდა, ტალღა ტალღას მისდევდა“. ბავშვი ამ შთაბეჭდილებებს დროებით მოაშორეს. პაპამ იგი გორის პროგიმნაზიაში შეიყვანა სასწავლებლად. მას ქართულ ენას ჯერ მიშო ყიფიანი ასწავლიდა, მისი დაპატიმრების შემდეგ კი — მწერალი ნიკო ლომოური. ორივე მგზნებარე ხალხოსანი იყო, მათი სამოღვაწეო გზა გაჭირვებული და უსწავლელი ხალხისაკენ მიდიოდა და მოწაფეებსაც ამ სულისკვეთებას უნერგავდნენ. ანასტასია ერისთავმა პროგიმნაზია დაამთავრა, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. სოფელში სნეული დიდედა და პაპა ელოდებოდა. დაბრუნდა ფცაში, მაგრამ მისი საღი გონება, მისი ტალანტი უკვე კრიტიკულად იყო განწყობილი არსებულის მიმართ. ის აკვირდება ფეოდალურ არისტოკრატიას, თავის წრეს, რომელთა უმრავლესობა ფუქსავატურად ატარებს დროს; მიწა აქვთ, მაგრამ ამ მიწის ყადრი არ იციან, შრომა არ შეუძლიათ, აგირავებენ და ჰყიდიან მიწებს, ღარიბდებიან. გლეხ ნინიკას კი, „ბევრჯერ გაუთენ-დაუღამებია მინდვრებზე, ბევრჯერ კოკისპირულ წვიმას დაულბია მისი ტანისამოსი, მაგრამ მაინც უკან არ დამდგარა, მაინც ფარვანასავით დასტრიალებდა მიწას, ჯანსა და ღონეს ზედ ალევდა“. ამ სოციალურ წინააღმდეგობას მოძრაობაში მოჰყავს ახალგაზრდა ქალის გული და გონება. სოფელში ბევრს კითხულობს, აღფრთოვანებულია ილიას ნაწერებით და ვერ იოკებს სურვილს — თითონაც იბრძოლოს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. „მეკრძალებოდა ასეთი ბუმბერაზის გვერდით ჩემი ახალგაზრდული აღმაფრენისაო“, — იგონებს იგი.

ანასტასია ერისთავი 1885 წლიდან იწყებს წერას, თარგმნის რუსულიდან, წერს ლექსებს და მოთხრობებს. მაგრამ იცის, მარტო ნაწერებში ჩაქსოვილი თანაგრძნობა ვერ უშველის ცრუმორწმუნეობისა და უსწავლელობისაგან შეწუხებულ გლეხებს. ახალგაზრდა ქალი აგროვებს ღარიბი გლეხების ბავშვებს და ასწავლის წერა-კითხვას და ლიტერატურას.

1893 წელს დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი ესტუმრა ფცას, დათა ბაგრატიონთან იყო სტუმრად. მასპინძელმა ანასტასიაც მიიწვია. ახალგაზრდა მწერალი ღელავდა, რას იტყოდა აკაკი მის ნაწერებზე, რა გეზს მისცემდა? ასე მღელვარებით გაეშურა იგი მგოსნისკენ, მაგრამ ისევ უკან დაბრუნდა, გადაწყვიტა თავისი მოწაფეებისათვისაც ეჩვენებინა დიდი აკაკი. და მათთან ერთად შეაღო ბაგრატიონთა სახლის კარი.

„ჩემმა რაზმმა საერთო ყურადღება მიიპყრო, სუფთად, თითქოს სადღესასწაულოდ გამოწყობილი გლეხის ბავშვები მორცხვად, თავდახრილები ჩამომწკრივდნენ მგოსნის წინ, თითქოს ერთმანეთში შეჯიბრებულნი ცდილობდნენ ეთქვათ, რაც შეიძლება მეტი ლექსები, ეთქვათ, რაც შეიძლება უკეთესად“ — იგონებდა შემდეგ მწერალი ქალი.

აკაკის მოეწონა მისი მოთხრობა: „ბატონებმა არ დაიწუნეს“ „იმ დროს განვიცდიდი ჩემი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს, ჩემი „ბატონებმა არ დაიწუნეს“ არც დიდებულმა და ყველასათვის საყვარელმა აკაკიმ დაიწუნა“. — დასძენდა იგი.

1896-97 წლებში გამოქვეყნდა მისი რომანი „მოლიპულ გზაზე.“ გაზეთმა „ივერიამ“ აღნიშნა: „ანასტასია ერისთავმა ქართულ რომანს საძირკველი ჩაუყარაო“. — ასეც იყო. იშვიათად თუ ღირსებია ქართულ წიგნს მკითხველის ასეთი საერთო აღიარება, რაც წილად ერგო ამ რომანს. ამ წიგნს ახლაც სიამოვნებით კითხულობენ. შეიძლება გარდასულ დროთა პერსონაჟები მკითხველს აღარ იტაცებდეს, წერის მანერაც გარდასულ დროს მიაკუთვნოთ, მაგრამ დიდი მხატვრის ხელი სწორედ აქ მოჩანს: ქეთინოს მომხიბლავი სახე, მისი პირველი შეხვედრა ოქროსთან, მისი დაბრუნება საზღვარგარეთიდან და უკანასკნელი შეხვედრა ოქროსთან ისეთი მძაფრი და ემოციურია, რომ მკითხველი ამ ადგილებს არასოდეს არ ჩაიკითხავს გულგრილად. ქეთინოს ცისფერ კაბას გახუნება არ უწერია.

1897 წელს ანასტასია ერისთავი გათხოვდა პოეტ დუტუ მეგრელზე. მალე დაიბეჭდა მისი მეორე რომანი — „ბედის ტრიალი“. კიდევ დიდი წარმატება... მკითხველის აღიარება... ეს რომანიც სოციალურ წინააღმდეგობაზეა აგებული. რომანის გმირის — ციცო-სიდონიას ბედის ტრიალი იტაცებს მკითხველს. მწერალმა დაგვიხატა ფუფუნებაში აღზრდილი, ზნეობრივად დაცემული გვარი, რომელსაც ღირსეულად უსწორდებიან გლეხები.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და დუტუ მეგრელი, ოლთისში, ყარსში და ნახჩევანში რამდენიმე წლით ცხოვრების შემდეგ, 1910 წელს შვილებით უკან დაბრუნდნენ და გორში დასახლდნენ. მწე-

რალს ისევ აწუხებს თავისი ხალხის ბედი. ქიტესა ისევ ჩივის: „ფეხის დადგმა მიწა არ არის ჩემ ბედზეო“; ეთერჯს დაგლეჯილი, მოკლე, დიდი ხნის ნათრევი პალტო აცვია; მართა გულისტკივილით ანებებს თავს შვილს, იგი ქმარს ძალით მიჰყავს, რომ ძიძად დაუდგეს ვისმეს ოჯახში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ერთი-მეორეზე უკეთეს მოთხრობებს წერს. მაგრამ მარტო წერას როდი ჯერდება: გაჭირვებულ ქალებს შველა უნდა, და გორში აარსებს საზოგადოება „მანდილოსანს“. ამ საზოგადოებამ გახსნა ქალებისათვის საკვირაო სკოლა თავშესაფარით, მაგრამ უსახსრობის გამო ამ დიდმა საქმემ დიდხანს ვერ იარსება.

კითხულობთ მწერლის მოთხრობებს: „მიწა“, „ეკლესიის გარემო“, „კერა“, „ლაზარემ გადააჭარბა“, „დედები“ და გაოცებთ მათი სოციალური სიმძაფრე, მწერლის ინტუიცია, ინტელექტი, და გიკვირთ, რატომ არ უნდა იცნობდეს ამ მოთხრობებს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა?

ღვაწლმოსილი, ამაგდარი მწერალი ქალი გარდაიცვალა 1951 წელს. მისი გმირების: ქიტესას, ნინოს, ნინიკას, მართას, დათიკას, (რომელთა უბედურებასა და უწიგნურობას მწერალი ასე მძაფრად განიცდიდა) შთამომავალნი, უმაღლეს სასწავლებელთა ვრცელ აუდიტორიებში ლექციებს ისმენენ და ღირსეულად აღნიშნავენ მათი წინაპრების გულშემატკივარი და დამცველი მწერლის დაბადების ასი წლისთავს.

# [illegible] და [illegible]

„ჩვენ გვჭირდება ისეთი თეატრი, რომელიც მართლა მასებთან, ხალხთან იქნება დაახლოებული, რომელიც ხალხის მიერ ნამდვილად შეყვარებული და განცდილი იქნება“, — წერდა ნიჭიერი ქართველი რეჟისორი ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე). იქნებ სწორედ ამიტომ გაასცენიურა და დადგა ცნობილი მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას პოპულარული რომანი „მოლიპულ გზაზე“.

თვით რომანის შესახებ ვახტანგ გარიკი წერდა: „მოლიპულ გზაზე“ კაეშნიან არშიაში არის ჩასმული. მთელი რომანის შინაარსი დათალხულია და უაღრეს მწუხარებას იწვევს მკითხველში, კითხულობ სტრიქონებს და სიმფონიური პათეტიურობით ივსება შენი გული, უახლოვდები რომანის ფინალს და ჰარმონიული მეტყველებით ურიგდები ცხოვრებას“.

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში, ვახტანგ გარიკის პირად ფონდში (6.//856-22865) დაცულია ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას უცნობი ბარათები რეჟისორისადმი. ბარათები ეკუთვნის 1913-16 წლებს, იმ პერიოდს, როდესაც დასადგმელად მზადდებოდა „მოლიპულ გზაზე“.

1913 წლის 26 ოქტომბერს ქ. გორიდან ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ვახტანგ გარიკის სწერდა:

**„დიდად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!**

არ ვიცი როგორ და რანაირად მოვიხადო თქვენთან ბოდიში პასუხის დაგვიანებაზე, მაგრამ როდესაც მოისმენთ საპატიო მიზეზებს, იმედი მაქვს მაპატიებთ. ჯერ იყო და ბავშვი მყავდა ავად, მერე ქართველ ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ გამგეობა იყო ასარჩევი და მთლად გაძეძგვებული ვიყავი, გონება არეული მქონდა და თქვენ წერილს კი ჯეროვანი მოფიქრებული და დალაგებული პასუხი სჭირდებოდა და მეც ვინახავდი ამ პასუხს უფრო დამშვიდებულ დროისთვის... დიდი მადლობელი და მოხარული ვარ თქვენის მაღალი აზრებისა ჩემს ნაწარმოებზე „მოლიპული გზის“ შესახებ. თქვენისთანა წრფელი და უზადო გულის პატრონი ქართველები რომ ხშირად გვყავდნენ, მაშინ ჩვენ ერს შური და მტრობა არ გააწყალებდა, არ დაასუსტებდა ასე, როგორც დღეს დასუსტებულია გონებრივად, ზნეობრივად და ქონებრივად. მთხოვთ ნება დაგრთოთ „მოლიპული გზის“ დრამად გადაკეთებაზე. სიამოვნებით გიცხადებთ თანხმობას, მაგრამ გთხოვთ იმ ტიპებს, რომელნიც აღნიშნულნი არიან ხსენებულ რომანში, ფრთხილად მოექცეთ და თავიანთი ელფერი, ხასიათი და მნიშვნელობა არ დააკარგვინოთ, მაგალითად, თქვენ მწერთ, რომ მეხუთე მოქმედებაში, მეათე სურათში სცენაზე გამოგყავთ სამიკიტნოში მყოფი ზნედაცემული ოქრო... ეს დახასიათება სრულიად დაამახინჯებს ოქროს ბუნებას, ოქრო ბუნებით წმიდა პიროვნებაა, მას თუმცა წუთისოფელი, ჩვენი ერის დაცემა სტანჯავს, ასუსტებს და სრულიად სხვაგვარად გარდაქმნის, მაგრამ მაინც მისი წმიდა ბუნება ძლიერია და არასდროს არ დაეცემა ისე, რომ სამიკიტნოში შევიდეს, დიდის უიმედობის და უბედურების ზეგავლენით ის თუმცა თავის ამხანაგებთან იწყებს ცოტახანს სიარულს ბაღებსა და სასტუმროებში, მაგრამ ბოლოს მისი წმიდა ბუნება ისევ იმარჯვებს და ხელს აღებინებს ამ უწესო ქცევაზე. აგრძნობინებს, რომ საძაგლობას სჩადის და მაკინესთან აცხადებს, თითქმის ბოდიშს იხდის ამ საქციელზე... იმის ნაზს, იდეალურ ბუნებას არ შეუძლიან მეტი ბრძოლა, რადგან მხარის დამჭერი წრფელი თანასწორი არა ჰყავს და იღუპება. სამიკიტნოები ასეთს მაღალის ბუნების ქართველს როგორიც ოქროა, არასდროს არ შეჰფეროხს და მისთვის შეურაცხყოფა იქნება. დრამაში უცხო სცენების შეტანა საჭირო არ არის, თვითონ რომანს იმდენი საკუთარი ძლიერი სცენები აქვს, რომ ეს სცენები საკმარისები არიან ჯეროვნად დაახასიათონ როგორც ტიპების მთლიანობა, ისე რომანის იდეა. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ როდესაც დაამთავრებთ ამ პიესას, გამომიგზავნით, რომ მეც გადავათვალიერო და თქვენთან ერთად, კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ, რომ ბოლოს ორივე მხარე დაკმაყოფილებული დავრჩეთ. რაც შეეხება მას, თუ ლიტერატურის მკვლევარნი რატომ ყურადღებას არ აქცევენ, მე მაგაზე ვერას მოგახსენებთ, ეგ მათი ნებაყოფლობაა. რუსულ ენაზედაც არ არის ჯერ გადათარგმნილი. მაშ ასე, დიდს და უდიდეს მადლობას გიძღვნით თანაგრძნობაზე, იმედი მაქვს კვლავ შემატყობინებთ თქვენს აზრს...

**დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი**
**ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.**

**„დიდად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!**

ამას წინათ თქვენი წერილის პასუხი გამოგიგზავნეთ და იმედია მიიღებდით, ეხლაც გწერთ. საქმე იმაშია, რომ გორში დაარსდა ეს მესამე წელიწადია ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელსაც უკვე ოთხას წევრამდე ჰყავს და ყურადღებაც მიიქცია საზოგადოებისაგან. „მანდილოსნის“ მიზანია დაეხმაროს გაჭირვებულ ქართველ ქალს ზნეობრივად და ნივთიერად, ე. ი. გახსნას სკოლები, დააარსოს კასები, გამართოს ლექციები, რეფერატები, კურსები, საავადმყოფო, თავშესაფარი და მრავალი ამნაირი გამანათლებელი ხასიათის დაწესებულებანი... ყველა ეს უნდა მისცეს საზოგადოებას უსასყიდლოდ. ამისათვის გამონახოს წყარო, რომელმაც უნდა შეუქმნას თანხა ყველა ზემოაღნიშნულ დაწესებულების განსახორციელებლად. დაიწყოს ვაჭრობა, მაღაზია გახსნას, საჩაიე, კანდიტერი და მრავალი ამნაირი მომგებიანი წყაროები... საჩაიე და მაღაზია უკვე გავხსენით, ახლა ვხსნით სკოლას ქუჩაში დარჩენილ ბავშვებისათვის. ჩვენ განვიზრახეთ 14-ს იანვარს 1916 წ. ნინოობა დღეს გავმართოთ დიდებული საღამო, დავდგათ თქვენგან გადმოკეთებული „მოლიპული გზა“. ამისათვის მოგმართავთ თხოვნით, იქნება მოგვიწყოთ ხელი და ეს შესაძლებლად გაგვიხადოთ. მოულო-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

კარაკეთ მსახიობთა მთელ დასს, რას გამოგვართმევენ, რომ მოვიწვიოთ? დიდად დაგვავალებთ, თუ ამითი დახმარებას აღმოგვიჩენთ. „მანდილოსნის“ გამგეობის თავმჯდომარე მე გახლავართ და წერილი ჩემს სახელზე გამოგზავნეთ. იმედი მაქვს პასუხს არ დამიგვიანებთ და მალე მიბოძებთ.

**დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი**
**ანასტ. ერისთავ-ხოშტარიასი.**
**1915 წ. 16 ნოემბერი“.**

**1915 წ. 15 დეკემბერი**

**„დიდად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!**

„...გორის საზოგადოება თხოულობს უსათუოდ 14-ს იანვრისათვის „მოლიპული გზა“ დადგას სცენაზე და ამისათვის გთხოვთ შუამდგომლობა გაგვიწიოთ მსახიობთა დასის წინაშე და მოგვიხერხოთ. რაიცა შეეხება გასამრჯელოს, მივართმევთ 200 მანეთს, რადგან გადავწყვიტეთ ის ღირსსახსოვარი დღე დიდებულად მოვაწყოთ და შემოსავლით მაინცდამაინც არ დავიხარბოთ თავი. ამასთანავე გვეყოლება საზანდარიც და შინაარსიანი დღესასწაულით მოვემზადებით, დილით იმავე დღესვე ვაკურთხებთ სკოლას და საჩაიე მაღაზიას. თქვენ ხომ აუცილებლად უნდა გვეწვიოთ, ამას ეჭვი აღარ უნდა...“

**დავრჩები თქვენი ღრმად პატივისმცემელი**
**ანასტ. ერისთავ-ხოშტარია**
**1916 წ. 18 თებერვალი.**

**დიდად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!**

„...მოიმედენი, რომ „მოლიპულ გზას“ დავდგამდით, აღარა ვზრუნავდით 14-ს იანვრისთვის და როდესაც მოგვივიდა უარი, მაშინ ხომ აღარ ვიცოდით რა გვექნა. არც გვინდოდა, რომ 14 იანვარს უმნიშვნელოდ ჩაევლო და ნებაუნებლიედ დავდგით იმ დროისათვის შეუფერებელი ვოდევილები, მაინც არა უშავდა რა. იმ დღემ შედარებით სხვა დღეებთან დიდებულად ჩაიარა. ორმოცი თუმანი კი ყოვლად შეუძლებელი იყო მიგვეცა მსახიობებისათვის, რადგან დარბაზი პატარაა და შემოსავლით იმდენს ვერ შემოვიტანდით, რომ „მანდილოსნის“ მიზანი და მსახიობების შრომა დაგვეჯილდოვებინა. აი ეს მიზეზები იყვნენ, რომ შევჩერდი და ველარ მოგეცით პასუხი. გაზეთებით გავიგე რომ „მოლიპულ გზას“ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებლებზე, რადგან სამჯერ გაუმეორებიათ, თუმცა რეცენზია არსად არ ყოფილა. ახლა გთხოვთ დაწვრილებით მომწეროთ ის შთაბეჭდილებანი, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა მაყურებელზე, თბილისში აპირებენ თუ არა დადგმას? თუ აპირებენ საროდიოთ? თბილისში კი მგონი მოვახერხებ ჩამოსვლას, რომ ჩემის თვალით ვნახო ის გმირები, რომელნიც აღნიშნულნი არიან ნაწერებში“.

როგორც უკანასკნელი ბარათის ნაწყვეტიდან ჩანს, პიესა გორში უსახსრობის გამო აღარ დაუდგამთ. ვახტანგ გარიკი კი ბოლომდე მწერალი ქალის ნიჭის თაყვანისმცემელი დარჩა.

**ლეილა ნანიტაშვილი**



# კაპიტალის სამყაროში

**იორგენ ბიკი**

## „საშინელება“

ახალგაზრდა, ლამაზმა ეგვიპტელმა ქალმა, რაგა იასინმა 1960 წლის მარტში კაიროს სასამართლოში შეიტანა განცხადება ქმართან განქორწინების თაობაზე. საქმის გარჩევამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია, რადგანაც პროცესზე გამოვლინდა საოცარი ფაქტები.

ეგვიპტეში ცხოვრობდა საუდის არაბეთის მდიდარი შეიხი, სახელად ომარ იასინი. ამ შეიხმა რაგას მამას ქალიშვილის ხელი სთხოვა და ურვადად შესთავაზა 10 ათასი კრონი. თუმცა რაგა ჯერ ისევ სკოლაში დადიოდა, მან სიხარულით მიიღო შეიხის წინადადება, რადგანაც, როგორც შემდეგ სასამართლოზე გულახდილად აღიარა, ის ყოველთვის ოცნებობდა „ეცხოვრა ფუფუნებაში და ევლო საკუთარი ლიმუზინებით“.

ამრიგად, რაგა გათხოვდა. გავიდა ერთი თვე და ერთხელ ქმარმა აცნობა, რომ მან რაგა მიჰყიდა ერთ ემირს. ომარ იასინმა ემირისაგან მიიღო 40 ათასი კრონი და რაგას დაჰპირდა თანხის მეოთხედი იმ პირობით, თუ ჭკუას მოიხმარდა და ყოველგვარი ხმაურის გარეშე გადასახლდებოდა ემირის ჰარამხანაში.

— მე სარფიანი საქმის გაჩალხვის შესაძლებლობა მომეცა — თქვა ომარ იასინმა. — შენი საბაზრო ფასი მაქსიმუმ ოცი ათასი კრონია, მაგრამ ემირმა გადაიხადა ორჯერ მეტი, იმიტომ, რომ ძალიან გევხარ ირანის შაჰის ცოლს სორეიას.

ომარ იასინმა რაგას ამავე დროს გაანდო, რომ მას არაბეთის შეიხებსა და ემირებზე უკვე გაყიდული ჰყავს 65 ყოფილი ცოლი.

მაგრამ, რომ იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, ისე მოხდა. რაგამ მოახერხა ქმრის საუბრის მაგნიტოფონზე ჩაწერა, რომელიც შემდეგ კაიროს სასამართლოს მოასმენინა და დაუყოვნებლივ მიიღო განქორწინება.

შეიხი ომარი კი ეგვიპტიდან გაასახლეს და ამბობენ, ახლა ბეირუთში ცხოვრობსო.

მაგრამ საუდის არაბეთს მაინც შემოჰყავს მონები არა მარტო აფრიკიდან, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც.

მარტო საფრანგეთში ყოველ წელს უგზოუკვლოდ იკარგება 12-15 ათასი ქალი, და პოლიცია ვერ აგნებს მათ კვალს. ანალოგიური ციფრები დაასახელეს ინგლისელმა პოლიციელებმაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ქალების ნაწილი უკვე დამალულია არაბული ჩადრის ქვეშ.

ფრანგ მწერალ ქალს კლერს აქვს ასეთი წიგნი „ფრანგი ექიმი იემენში“. აქ მოთხრობილია საუდის მეფეზე, რომელმაც იემენში გააგზავნა ელჩი დავალებით: ეყიდა თავისი ერთ-ერთი ახალგაზრდა ვაჟისათვის გასართობად თეთრკანიანი ქალიშვილი 700 ფრანკად (დაახლოებით 14 ათასი კრონი).

მონათვაჭრობის საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული საერთაშორისო ფორუმზე. მაგალითად, 1956 წელს ჟენევაში შედგა კონფერენცია, რომელზეც 50 სახელმწიფომ გამოგზავნა წარმომადგენლები. საფრანგეთმა და ინგლისმა წინადადება შეიტანეს, რომ მიეღოთ კონვენცია, რის საფუძველზე მონების გადაყვანა ზღვით (მათ შორის წითელი ზღვით) ჩაითვლება საზღვაო ავაზაკობად, ხოლო ამ საქმეში ეჭვმიტანილი ხომალდები გაიჩხრიკებიან იმის გამოსარკვევად, არიან თუ არა გემზე ადამიანები, რომლებიც გაყიდეს ან გაყიდვას უპირებენ მონებად.

მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ საკითხის ირგვლივ აზრის გამოთქმაზე თავი შეიკავა, რათა არ ეწყენინებია საუდის არაბეთის მეფისათვის, რასაც შეიძლება გამოეწვია მათი სამხედრო-საჰაერო ბაზების ლიკვიდაცია დახრანში. ეს კი დიდ ზიანს მიაყენებდა ამერიკის ნავთობის კომპანიებს საუდის არაბეთში. საბოლოოდ კონფერენციამ მიიღო ბუნდოვანი დეკლარაცია, რომლის მთავარი აზრი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ „მონათვაჭრობა — საშინელებაა“.

**ჟურნალიდან „სელსკაია მოლოდიოჟ“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქმეში შეუპოვარი

## ჩვენი გმირები

ერთ დღეს ყაზბეგის თემკომის მდივანს ისიდორე ოდიშვილს პარტიული და კომკავშირული აქტივი შეეკრიბა და საქმის ვითარებას აცნობდა. გუდაურიდან დარეკეს, რომ ერთ-ერთ ოჯახში უკმაყოფილებაა, ქალს ავიწროვებენ და აუცილებლად უნდა მივეშველოთო. აქტივისტთა შორის ბევრი ვაჟკაცი იყო, მაგრამ პირველობა ქალმა არავის დაუთმო. გზა ძნელი იყო, ამინდი ძალიან ცუდი.

კომკავშირელი ლიზა ხეთაგური დავალების შესასრულებლად წავიდა. აპრილის შუა რიცხვები იყო. ბარად ბალ-ალუბლები, ნუშები და ატმები ჰყვაოდნენ. ზემოთ კი პირქუშად იდგნენ თეთრი, თავჩაჩქნიანი მთები და მდუმარებდნენ. ხევებში თოვლის კორიანტელი მარწუხივით იგრიხებოდა. თავჩაბალახიანი მხედარი ჯვრის უღელტეხილზე გადმოდგა, შვინდა ულაყს მათრახი გადაჰკრა და თავქვე დაათოხა. მედგრად შეება ქარის დინებას, რომელიც აშვავებულ თოვლს სახეში აყრიდა და გამარჯვებულმა გუდაურის მისადგომებისკენ გაივაკა. ის იყო გუდაურს მიუახლოვდა, რომ მწვერვალიდან დაქანებული ზვავის გრგვინვამ მთები შესძრა. მისმა წინამორბედმა უმძლავრესმა გრიგალმა ცხენი და მხედარი ჰაერში აიტაცა. ცხენი მხედარს გამოაცალა და უფსკრულში გადაჩეხა, ხოლო მხედარი უფსკრულის ზემოთ ჰაერში ვერხვის ფოთოლივით დაატრიალა. ზვავმა ლერწამმტვრევით ჩაიარა ვიწრო და სალკლდოვანი ორწოხები და არაგვის ხეობაში ჩაიხერგა... მხედარი ზვავში წელამდე ჩაეფლო და იმ ღამეს იქ დარჩა!..

მეორე დილა მოწმენდილი გათენდა. როცა გუდაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს სიმონ სალბიევს ყაზბეგიდან დაურეკეს, მან მღელვარება ველარ დაფარა და უპასუხა:

— არავის უნახავს!... მივიღებ ზომებს, ამხანაგებო!.. — მან სასწრაფოდ შეარჩია ამტანი ვაჟკაცები და მხედრის საძებნელად გაგზავნა.

კომკავშირლებმა გეზი ახალი ზვავისაკენ აიღეს და მალე იპოვეს ზვავში ჩაფლული მხედარი. მას სახეზე ეტრატის ფერი დასდებოდა, ტუჩები ჩალურჯებოდა, გათოშილ სხეულს სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პირველი დახმარების აღმოჩენის შემდეგ მხედარი ნაბადში გაახვიეს და დიდი გაჭირვებით ჩაიყვანეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან. მან მაშინვე იცნო ხევში სახელგანთქმული ვეტერანი კომკავშირელი ლიზა იოსების ასული ხეთაგური.

სიმონ სალბიევმა ერთი კვირის შემდეგ მარხილით ჩაიყვანა ყაზბეგში შრომისუნარდაკარგული ქალი. ლიზა ხეთაგურს წინათ პარტიის მრავალი დავალება შეუსრულებია და ამიტომ რაიონის მოსახლეობის პატივისცემა არ მოკლებია.

ლიზა 1907 წელს დაიბადა სოფელ ყაზბეგში, ღარიბი ვლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედას უჭირდა ხუთი ბავშვის შენახვა, რის გამოც გოგონა იძულებული გახდა მოჯამაგირეობით ერჩინა თავი. იგი ორჯონიკიძეში მოჯამაგირედ მუშაობდა და თან ხელობასაც სწავლობდა. 1920-21 წლებში ლიზა ხეთაგური ყაზბეგში დაბრუნდა და ქოხსამკითხველოს გამგედ დაიწყო მუშაობა. მასვე დაავალეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობის ჩატარება. მალე ლიზა რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად გადაიყვანეს. შემდეგ კი პარტიის ყაზბეგის რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს. როცა ლიზა პარტიის რაიკომის ქალთა სექტორის გამგედ დანიშნეს, კულაკობა ჯერ არ იყო ლიკვიდირებული და რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები ძნელ პირობებში მუშაობდნენ. რაიონს აკლდა კადრები, განსაკუთრებით მცირე იყო აქტივისტ ქალთა რიცხვი. მაშინ ჯერ კიდევ მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვები ძველ ტრადიციებს — ქალი ქმრის სრული მორჩილი უნდა ყოფილიყო. ლიზა თავდაუზოგავად იბრძოდა ქალთა ღირსების შელახვისა და კარჩაკეტილობის წინააღმდეგ. აცნობდა მოხევე ქალებს საბჭოთა კანონებსა და ქალის უფლებებს.

იყო შემთხვევები, როდესაც ქმარი სახლიდან აძევებდა ცოლს და არაფერს არ აძლევდა ქონებიდან. ასეთ დროს ლიზა შეუპოვრად ერეოდა მათ საქმეში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დავალების შესრულების დროს მოუსწრო ზვავმა და სამუდამოდ დაკარგა შრომის უნარი. მან ხანმოკლე დროში იმდენი გააკეთა საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რასაც ზოგჯერ მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ვერ აკეთებენ ადამიანები.

ი. სუჯაშვილი

ფოტულა იანაკოპულუ

# სიმღერა

თმაქოჩორა, მწყემსი ბიჭი
ეფარება ტირიფს,
სალამურზე უფრო ტკბილად
მღერის მისი სტვირი.
ბიჭი ამბობს:
რა მაცოცხლებს
სიმღერების გარდა?
დაგვხაროდეს მშვიდობის ცა,
გაზაფხულის კალთა.
ეს მთები და
ეს მინდვრები
ლხენით ჰვრეტდნენ ზეცას,
გამიმრავლდეს დაე, ფარა,
გავიხარო მეცა.
იცახცახონ ყვავილებმა,
წკრიალებდეს წყარო,
სიცოცხლევ და გაზაფხულო,
მართლაც კარგი ხარო.
რა მამღერებს?
ეს ლაჟვარდი,
გაზაფხული წმინდა,
უმზეოდ და
უმშვიდობოდ
არც [illegible]

თარგმნა ნაზი კილასონიამ.

# მშვიდობის ფონდში

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში მკითხველებს მოვუთხრობდით იმ კეთილშობილური საქმიანობის შესახებ, რომელსაც ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის ქალები ვიეტნამისა და არაბეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად. დამატებით მიღებული ცნობების მიხედვით, მშვიდობის ფონდში ჩაირიცხა:

1. ქარელის რაიონის ქალთაგან — 2.587 მანეთი.

სახსრების შეგროვებაში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ: ეთერ მარლიშვილი, ციალა ელიაშვილი, ქეთევან სამნიაშვილი, თინა ინასარიძე. ლელი მაზმიშვილი, ლიანა და ლეილა აბაშიშვილები, ტასო გელაშვილი, ნეუნა ჩუტკერაშვილი, ეკატერინე კაკალაშვილი, გიული ნოზაძე, გულნარა ზაკუტაშვილი და სხვები.

2. ცხინვალის რაიონის ქალებისაგან — 856 მან. 70 კაპ. (სულ შარშანდელთან ერთად 1.028 მან. 70 კაპ).

3. ადიგენის რაიონის ქალთაგან — 1.692 მან. 40 კაპ. (სულ შარშანდელთან ერთად 3.624 მან. 40 კაპ.).

მშვიდობის ფონდისათვის სახსრების შეგროვება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა

1921 წლის 21 მაისს თბილისში, „წმინდა ნინოს“ სახელობის ქალთა მეშვიდე გიმნაზიის შენობაში, მუშაობა დაიწყო სრულიად საქართველოს უპარტიო ქალთა I ყრილობამ.

ყრილობის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამ ღონისძიებით გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი ქალთა გამოღვიძების, მათი გათვითცნობიერებისა და დარაზმვის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება, ხელმძღვანელობდა რა ყრილობის ორგანიზაციას, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, რომ ქალთა პირველი თავშეყრა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სამი თვის თავზე, როცა ჯერ კიდევ ვერ ისვენებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. ამიტომ ყოველმხრივ მომზადებულად, ფხიზლად და პოლიტიკურად მაღალ დონეზე უნდა მოეწყოთ იგი.

ყრილობას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაო. ადგილებზე ჩატარდა ქალთა კრებები და კონფერენციები. პარტიული პრესა, კერძოდ გაზეთები: „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზიი“ ფართოდ აშუქებდნენ ყრილობისათვის მზადების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგემ ლიდა გასვიანმა, რომელმაც ყრილობა გახსნა, თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა ყრილობის მიზანსა და მნიშვნელობას, იმ როლს, რომელიც ყრილობას უნდა შეესრულებინა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ქალთა შეკავშირებისა და პარტიის გარშემო მათი დარაზმვის საქმეში.

ყრილობას ესწრებოდა 105 ქალი თბილისიდან, ბორჩალოს მაზრიდან, გორიდან, სიღნაღიდან, თელავიდან, დუშეთიდან, თიანეთიდან, ახალციხიდან, ქუთაისიდან, რაჭიდან, ოზურგეთიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, ხონიდან, სამტრედიიდან, ტყიბულიდან და ვანიდან.

დელეგატთა შემადგენლობაში ქართველებთან ერთად იყვნენ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები: სომხები, რუსები, ბერძნები, აზერბაიჯანლები, ოსები, ებრაელები და გერმანელები.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ: ვ. ლენინი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, კ. ცეტკინი და ა. კოლონტაი.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიისა და სარედაქციო კოლეგიის არჩევის შემდეგ ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: საქართველოს რევოლუციური ამასრულებელი კომიტეტის სახელით — ფილიპე მახარაძემ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით — თ. კალანდაძემ, რუსეთის ქალთა სახელით — ტროიცკაიამ, სომხეთის ქალთა სახელით — ვარდანიანმა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით — ბ. ძნელაძემ.

ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე სხვადასხვა მაზრებიდან და სოფლებიდან ჩამოსული დელეგატები. ისინი ლაპარაკობდნენ მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ იმ უბედურებაზე, რაც საქართველოს მშრომელებს თავს დაატყდათ მათი ბატონობის პერიოდში; აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლების სამართლიანი, ხალხის ინტერესების დამცველი პოლიტიკის სისწორეს, რომელმაც მოსპო არა მარტო ქალთა უუფლებობა, არამედ ეროვნული შუღლიც, აღიარებდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით გახდა შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ქალთა თავშეყრა, მათ შორის მეგობრობის, სიყვარულისა და მტკიცე ერთობის დამყარება. თითოეული დელეგატი ხაზგასმით ლაპარაკობდა მისთვის ყველაზე საჭირბოროტო, მტკივნეულ საკითხზე.

ყრილობაზე გამოსული ქალები დიდ აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ მშრომელ ქალთა საუკუნეობრივი ოცნების განხორციელების — თავისუფლების მოპოვების გამო და მადლობას უხდიდნენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. ქალთა გულწრფელი და საჯაროდ წარმოთქმული ხმა პირველად ამ ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა თავისუფლად და იგი გამოხატავდა მთელი საქართველოს მშრომელ ქალთა განწყობილებას.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი — მომხსენებელი ფ. მახარაძე;
2. რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ქალს — მომხსენებელი თ. კალანდაძე;
3. დედათა და ბავშვთა დაცვა — მომხსენებელი მარიამ ორახელაშვილი;
4. საერთაშორისო მდგომარეობა და მესამე ინტერნაციონალი — მომხსენებელი ლ. გასვიანი;
5. აღმოსავლეთის ქალთა მოძრაობის ისტორია — მომხსენებელი ა. დალნაია.

ყრილობამ აირჩია 18 დელეგატი აღმოსავლეთის ქალთა მოსკოვის ყრილობაზე წარსაგზავნად, რომელიც 1921 წლის ივნისში უნდა გამართულიყო.

ყრილობამ მისალმებანი გაუგზავნა III კომუნისტურ ინტერნაციონალს, ქალთა საერთაშორისო კავშირს, მოსკოვის მშრომელ ქალებს და პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ მისალმებაში აღნიშნული იყო: „ყრილობა დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს რევოლუციური მუშაობა რევოლუციურ ლამპარს დაანთებს აღმოსავლეთში, რომლის ცეცხლიც მოსპობს მთელი ქვეყნის კაპიტალიზმის საზიზღარ მონობას“.

დახურვის დღეს ყრილობას ესწრებოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები: ს. კიროვი, ა. ნაზარეტიანი, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი.

კიროვმა გულთბილი სიტყვებით მიმართა დელეგატ ქალებს: „მე მინდა, — თქვა მან. — ამ მაღალ, ამაყ მთებში ვიხილო ამაყი, თავისუფალი ქართველი ქალი. მე მინდა მივმართო მათ და ვუთხრა: თუ კი თქვენ აჩუქეთ კაცობრიობას გენიოსები და დიადი გონებით დაჯილდოებული ადამიანები, თუ თქვენ აჩუქეთ კაცობრიობას ყოველივე, თუ თქვენ შექმენით მისი წარსული, იჩქარეთ, რომ შექმნათ ახალი დიადი ცხოვრება, ახალი აღმშენებლობა, რომელიც კაცობრიობას მიანიჭებს სრულ თავისუფლებას, ბედნიერებას, და რომლის სახელია კომუნიზმი“.

საქართველოს უპარტიო მშრომელ ქალთა პირველმა ყრილობამ ცნო ქალთა უფლებრივი და პოლიტიკური განთავისუფლება, შეაკავშირა სხვადასხვა ეროვნების ქალები საერთო მიზნებით და მოამზადა ნიადაგი ქალთა შორის შემდგომი მუშაობის გასაშლელად.

ნელი ბურძენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: მე და ჩემმა მეუღლემ ერთად ცხოვრების პერიოდში ავაშენეთ ოროთახიანი სახლი სათავსოებით. რამდენიმე წლის შემდეგ განვქორწინდით, სამი მცირეწლოვანი შვილი ჩემთან დარჩა.

გთხოვთ განმიმარტოთ, განქორწინებასთან დაკავშირებით სახლის რა წილი გვერგება მე და ჩემ შვილებს. ამასთან, ჩემს ყოფილ მეუღლეს აქვს თუ არა უფლება მისი წილხვდომილი ნაწილი გაყიდოს შვილების სრულწლოვანებამდე?

ს. კ.

პასუხი: პირადი საკუთრების სახლი, თუ ქალაქად არის აშენებული, თანახმად საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-17 მუხლის შენიშვნისა, თანაბარ ნაწილად გაიყოფა მხოლოდ თქვენს ორს შორის. მშობლების საკუთრებიდან მცირეწლოვან შვილებს მხოლოდ სარგებლობის უფლებით გამოეყოფა ფართობი. მშობლების მიერ საკუთარი სახლის გაყიდვის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს შვილების ასაკს.

კითხვა: კერძო მფლობელობის სახლში ვცხოვრობ მდგმურის უფლებით. მიჭირავს ერთი ოთახი 16 კვ მეტრი ფართისა, გავთხოვდი, ქმარიც ჩემთან ერთად დასახლდა ამ ოთახში. ათი წლის მანძილზე ვეწეოდით ერთიან საოჯახო მეურნეობას და გვქონდა შრომითი დანაზოგი, რომლითაც ჩემმა მეუღლემ გაამზითვა ქალიშვილები (პირველი მეუღლისაგან), დაკრძალა დედამისი და შეიძინა საოჯახო ნივთებიც. ამჟამად გვაქვს ოჯახური უსიამოვნება. გთხოვთ განმიმარტოთ, განქორწინების შემთხვევაში, ჩემს მეუღლეს ერგება თუ არა ბინის წილი, ვის რა რაოდენობის წილი გვერგება, საოჯახო ქონებიდან და ჩემს მეუღლეს მისაღებ ქონებაში ჩაეთვლება თუ არა ის ხარჯები რაც მან გასწია ჩვენი დანაზოგიდან გამზითვებასა და დაკრძალვაზე?

ნ. ნ.

პასუხი: თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-297-ე მუხლებისა, თქვენს მეუღლეს თქვენს თანაბრად აქვს მოპოვებული ბინის უფლება, შეუძლია საცხოვრებელი ფართი მოითხოვოს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად. ქონება, რაც მეუღლეებს დაქორწინებამდე გეკუთვნოდათ, არ გაიყოფა. ერთად ცხოვრების დროს შეძენილი ქონება კი გაიყოფა თქვენ შორის თანაბარ წილად. და მხედველობაში არ მიიღება, თქვენი ერთად ცხოვრების პერიოდში ვინ რა ხარჯი გასწია.

კითხვა: ცალკე კომლად მცხოვრები ჩემი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. მე მარტოდმარტო ვცხოვრობ. გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება ოჯახის წევრად დავიწერო მამით ობოლი შვილიშვილი?

შ. ბ.

პასუხი: საქართველოს სსრ საქორწინო საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, შვილად შეიძლება აყვანილი იქნას მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი და ისიც ბავშვის ინტერესებისათვის. საჭიროა ბავშვის მშობლების თანხმობაც, ეს თანხმობა დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის ან რაისაბჭოს აღმასკომის მიერ და საბუთებს უნდა დაერთოს სამედიცინო დასკვნა თქვენს ჯანმრთელობაზე.

კითხვა: ჩემი მეუღლე, დაოჯახებამდე, 4 წელი ჩაწერილი იყო კომუნალური ფონდის ბინაში ფართზე უფლების გარეშე. როცა მასზე დავქორწინდი, ვითხოვე მასთან ჩაწერა, რაისაბჭოს აღმასკომმა უარი მითხრა და ამასთან გამაფრთხილა, რომ ჩემს მეუღლესაც მამაჩემის ბინაში გადაწერდნენ. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია აღმასკომის მოქმედება?

ლ. შ.

პასუხი: საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 296-297-ე მუხლების შესაბამისად, თქვენს მეუღლესთან ბინაში გაწერა დამოკიდებულია ჩასაწერი ოთახის ფართობზე (თვითოეულ სულზე უნდა მოდიოდეს 12 კვ მეტრ ფართზე მეტი) სამოქალაქო კოდექსის 309-ე მუხლის შესაბამისად, ამასთან აუცილებელია ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობა, ამავე პირობის დაცვა საჭიროა მამათქვენზე რიცხულ ბინაში თქვენი მეუღლის გაწერისათვისაც, უამისოდ ადმინისტრატიული წესით საბინაო წიგნში ჩაწერა არ შეიძლება.

კითხვა: ოქროს მედალზე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლიმიტით მიმავლინა ქარხანამ. ამ ქარხნიდან ვიღებდი სტიპენდიასაც მიუხედავად აკადემიური წარმატებისა, მეოთხე კურსიდან ქარხნის ადმინისტრაციამ შემიწყვიტა სტიპენდია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმავე ქარხანაში დამნიშნეს ლაბორატორიის გამგედ. ვიმუშავე 9 თვე და გამანთავისუფლეს იმ საბაბით, რომ ლაბორატორიის ყოფილი გამგე დემობილიზებული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და თავისივე ადგილზე დააბრუნეს. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად სამართლიანია ადმინისტრაციის მოქმედება:

სტიპენდიის შეწყვეტა და სამუშაოდან ხსენებული საბაბით განთავისუფლება, და მაქვს თუ არა უფლება ორი წლის გაცდენილი სტიპენდია მოვითხოვო?

ზ ფ გიგიეჭკორი.

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში სტიპენდია გათანაბრებულია შრომის ხელფასთან, ქარხნის დირექციას უფლება არ ჰქონდა მოეხსნა სტიპენდია თქვენთვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და შრომის დავის განმხილველი კომისიის დებულების თანახმად, შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ უკანასკნელი სამი თვის სტიპენდიის ანაზღაურება.

თქვენ, როგორც ახალგაზრდა, უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი, ვალდებული იყავით არანაკლებ სამი წელი გემუშავათ დანიშნულ ადგილას და თქვენი სამუშაოდან განთავისუფლება შესაძლებელი იყო იმ სამინისტროს (უწყების) ნებართვით, რომელსაც ექვემდებარება ის ქარხანა, სადაც თქვენ მუშაობდით.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირს, გაწვევისდროინდელი სამუშაო ადგილი კი ენახება მხოლოდ ორი თვე.

კითხვა: მეუღლესთან განვქორწინდი და აღსაზრდელად დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილი. ვცხოვრობდით კერძო, ნაქირავებ ბინაში. შემირიგდა მეუღლე და ისევ დაქირავებულ ბინაში გადაგვიყვანა. მალე მეუღლემ კვლავ მიგვატოვა. გთხოვთ განმიმარტოთ, შვილების ალიმენტის გარდა, მერგება თუ არა ყოფილი მეუღლისაგან ბინის ქირა?

ზ. ნ.

პასუხი: ამ შემთხვევაში (კერძო, დაქირავებული ბინა) ყოფილ მეუღლეს არ დაეკისრება თქვენს სასარგებლოდ ბინის ქირის გადახდა, რადგან კანონი ასეთს არ ითვალისწინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საოჯახო კლუბი

— მერე?

— დედამისი არ უშვებს.

— ავადაა?

— არა, მაგრამ იატაკსა და ავეჯს ქალი თან ჰყვება — მეტისმეტად სუფთაა, სამსახურიდან რომ მოვა და მიადგება... ბავშვი კი... ბავშვია, კაცმა რომ თქვას, ჩვენც ვასულელებთ—ეს ერთი კინკილა გვყავს და...

კარზე ზარი დაირეკა...

სტუმარმა ქალმა ფეხსაცმელი კართან გაიხადა და წინდისამარა შემოვიდა. შევცბუნდი. მეგობარმა თვალი შემასწრო და სიცილით დამამშვიდა:

— უცხო არ გეგონოს, მეზობელია.

მალე ჩემი მეგობრის მეუღლეც დაბრუნდა

— რაც ეს ტელევიზორი შემოვიტანეთ ოჯახში, აღარც პურის ჭამას აქვს გემო აღარც სტუმართან გაცლის ლაპარაკს, — წაილაპარაკა მამასახლისმა.

— არ შევჭამ, არა! — ბავშვმა წვნიან თეფშს ხელი გაჰკრა და იატაკზე მოაპირქვავა.

— ღმერთო, მომკალი! ხელი მოუხვდა. კი არ უნდოდა! — გამოესარჩლა ბებია და ტილო გამოარბენია, — ა, მერე მასტიკას გადავუსვამ და...

დედამ ბავშვს ხელი დაავლო და ოთახიდან გაიყვანა.

ბავშვი ისტერიულად ატირდა.

ჩემმა მეგობარმა ქმარს საყვედურით გადახედა.

# ყოფის კულტურა

**მოყვარეს პირში უძრახეო**

— იცი, რა კულტურულად ავაწყეთ ოჯახი? რომ ნახო, გაგიხარდება. ეჰ, ვასაც ჩემი მშობლების გაჭირვებული ცხოვრება ახსოვს...

მახსოვს, როგორ არ მახსოვს! მამაჩემი თბილისში ისე არ ჩამოვიდოდა, რომ ის ოჯახი არ მოენახულებია. ერთი-ორჯერ მეც მიმიყვანა, ბავშვებს დამამეგობრა.

განათლებული, პატიოსანი მუშის რვა სულისაგან შემდგარი ჯალაბობა ნახევრადსარდაფის ორ პაწაწინა ოთახში ცხოვრობდა, ცხოვრობდა ხელმოკლედ, მაგრამ იმ ჭერქვეშ ისეთი სისუფთავე, წესრიგი და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო სუფევდა, იმდენი სიკეთე და მხიარულება იყო, რომ...

მეგობრების თავშეყრა ჭიქა ჩაიზე, საოჯახო კონცერტები, წარმოდგენები, კამათი ნანახისა ან წაკითხულის ირგვლივ...

მოგონებები წამომეძალა და ბავშვობის მეგობრის თხოვნას მივყევი.

კარი მისმა რძალმა, ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისმა გაგვიღო. მართლაც კარგი ბინა ჰქონდათ, კეთილმოწყობილი, ძვირფასი ავეჯით მორთული. სანაქებო წესრიგია და სისუფთავე: იატაკი სარკესავით პრიალებს, ავეჯს თითქო ადამიანი არ გაჰკარებია.

— ეჰ, საწყალი დედ-მამა ვერ მოესწრო, თორემ... — ამოიოხრა მეგობარმა — და-ძმები კიდევ უკეთ ცხოვრობენ: კარგი ბინები აქვთ, — ზოგს მანქანა და აგარაკიც...

— შვილები?

— თითო-ოროლა. მაგაში კი გვაჯობეს მშობლებმა.

მეორე ოთახში ბავშვი ჭირვეულობდა.

— თავს იკლავს. აქეთ უნდა გამოსვლა.

სამსახურიდან და ისიც ისე ფეხაკრეფით მიდი-მოდიოდა, გეგონებოდათ, ბინაში მძიმე ავადმყოფიაო.

მხოლოდ მათი ვაჟი არსად ჩანდა.

— ეტყობა, მეგობრებთან შერჩა სადმე, — გაამართლა მამამ.

—პირველი შემთხვევაა!—გაიცინა რძალმა.

— რას იზამ, ძალიან უყვართ. ისე, შემძენი ბიჭია, შემომტანი. შვილებს არ იჩენენ, თორემ, — ნახევრად ხუმრობით წარმოთქვა და რძალს გადახედა.

— სათქმელად ადვილია!

მამამთილმა შეპასუხება დააპირა, მაგრამ სიტყვა ცოლმა წაართვა:

— მართალია, ახლა ბავშვებს სხვა მოვლა უნდა.

— მე რაც შემიძლია... — წამოწითლდა რძალი.

—მერე, ვინ გამტყუნებს? ბავშვს კი არა, აგერ, იატაკსაც ზედ აკვდები, — შეაქო დედამთილმა და მე მომიბრუნდა, — მთელი სახლი რომ დაიარო, ასე მოვლილ ბინას ვერ ნახავ.

ტელევიზორი ლაპარაკს არ გვაცლიდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა დედას ეხმარებოდა: როგორც კი მისი 4-5 წლის ბიჭი გაოცებისაგან პირს გააღებდა, სავსე კოვზს ატაკებდა.

— იმ ბიჭმა გოგოს რატომ აკოცა? — იკითხა პატარამ.

— შენც ხომ კოცნი ხოლმე დაიკოებს, სტუმრად რომ მიხვალ.

— ჰოო... ე, კიდევ აკოცა. ახლა რატომ?

— ემშვიდობება.

— რომ არ წავიდა? ე, კიდევ აკოცა! რატომ? მითხარით, თორემ არ შევჭამ! — გაჭირვეულდა პატარა.

— „ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტვრიესო“, — თქვა ქმარმა.

— ჰო... ახლა, კაცმა რომ თქვას, ჩვენი რძლისთვის თეატრი არ არსებობს და კინო, ის კი არა, გაზეთის წასაკითხადაც ვერ იცლის...

— მერე, ვინ უშლის?

— საქმე. მე ექიმებისაგან ხელის განძრევაც აკრძალული მაქვს, და... ერთადერთი, რაც შემიძლია, კერძის მომზადება და ბავშვს თუ მივხედავ... იღლება ქალი.

— აბა, რა მოუვა! მეზობლებთანაა სოცშეჯიბრებაში. არა, მაინც ვერ გამიგია, ჩვენ უნდა ვემსახუროთ ამ ოხერ იატაკს და ავეჯს, თუ ესენი — ჩვენ? „მეტისმეტი, რეტისრეტიო... არც ბავშვი ვარგა ბავშვად და ქმარიც...

— „კვიცი გვარზე ხტისო“, — ხუმრობაში გადაიტანა დიასახლისმა.

— ე! სულ შინ არა ვარ?

— ახლა კი...

— მერე? ვინ იყო დამნაშავე? შენც, შენი რძლის არ იყოს, წასასვლელ-წამოსასვლელად არასოდეს იცლიდი, სულ დაღლილი იყავი და ნერვებაშლილი.

— მე მაბრალებს!

— ბოლოსდაბოლოს ერთი შვილი გავზარდეთ.

— შენც გაზარდე? ჰო... თუმცა, შენს მაგალითზე არ გაიზარდა?

— მერე, ცუდი მაგალითი მიეცი? ერთ ოთახში ვიყავით — სამში გადმოგიყვანეთ. კულტურული ცხოვრება შეგიქმენით. ხელისგულზე მიზიხართ, ხელისგულზე! — გაიხუმრა მამასახლისმა, — კი, მაგრამ ამ ჩვენს სტუმარს თუ აინტერესებს ჩვენი ამბავი?

— ძალიან მაინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრა კერძებით აივსო, მაგრამ რძალი აღარ გამოჩენილა. ეტყობა, დაღლილს თავის ნამტირალევ ბავშვთან მიეძინა.

ახალგაზრდა მამასახლისი კი, ისე წამოვედი, არ მინახავს.

...მოვდიოდი და მაგონდებოდა მეგობრის ნათქვამი: „იცი, რა კულტურულად ავაწყე ოჯახი?!"

კულტურულად აწყობილი ოჯახი!

ესე იგი, კარგი ბინა, ოჯახური შრომის თანამედროვე ორგანიზაცია, ჰიგიენა, კეთილმოწყობა...

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს აუცილებელია ადამიანისათვის, რადგან უზოგავს მას დროს, ენერგიას, ეხმარება შვილების აღზრდაში, მაგრამ ეს ყოფის კულტურის მხოლოდ ერთი მხარეა, გარეგნული, მთავარი არსი კი უფრო ღრმაა და მრავალმხრივი — მისი სულიერი მხარე. ყოფის კულტურა მაღალია იმ ოჯახებში, სადაც მეუღლეობა ჭეშმარიტ სიყვარულს, ურთიერთ გაგებასა და საოჯახო მოვალეობათა სამართლიან განაწილებას ემყარება: სადაც წიგნი, ხელოვნება, ადამიანისათვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი, საკვები, ჰაერი.

მაგრამ რამდენია ოჯახი, სადაც მეუღლენი თითქოს სიყვარულს კი არა, ნივთების შეძენის სურვილებს დაუამხანაგებია, სადაც ფეტიშად ნივთები ქცეულა.

და დგას მოდური ავეჯი გაპრიალებულ იატაკზე, თითქოს ოჯახის წევრთათვის მხოლოდ შორიდან სამზერად და გამოუყენებლად, დგას როგორც მუზეუმში და ნთქავს დიასახლისის მთელ დროსა და ენერგიას, — ძეირფას დროს და ძალას, რომელიც აგრერიგად სჭირდება ქალს — მოქალაქეს, მეუღლეს და დედას, საკუთარი სულისა და გონების გამშვენიერებისათვის, ოჯახის წევრთა შორის კავშირის განმტკიცებისათვის, შვილების აღზრდისათვის.

რაგინდ ლამაზად და მოდურად უნდა იყოს მოწყობილი საცხოვრებელი ბინა, იგი უძლურია შექმნას კულტურული ცხოვრება, ისევე, როგორც უძლურია დააკავშიროს ოჯახის წევრები, უძლურია შეაჩეროს პროცესი, რომელიც სულიერად გაღარიბებულ და გათიშულ მეუღლეთა შორის იჩენს თავს.

ოჯახი სკოლაა, სადაც ცოლ-ქმარი ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ზრდის ერთმანეთს. მას თავისი სიძნელეებიც გააჩნია, მაგრამ იქ, სადაც სულიერი ახლობლობაა, სიძნელეებთან საერთო ძალით შეჭიდება და გადალახვა კიდევ მეტად ამტკიცებს ამ კავშირს.

ხოლო სადაც ეს არ არის...

ნუ მიწყენს ჩემი ბავშვობის მეგობარი, თუ მისი ოჯახური ცხოვრების მაგალითით დავიწყე ეს, ჩემი ფიქრით, საჭირო საუბარი.

...მოყვარეს პირში უძრახე"...

მ. ბარათაშვილი

# თუ გახდომა გსურთ

(გაგრძელება)

## სახალისო ვარჯიში

I ვარჯიში: რამდენიმე ღერი ასანთი მოაბნიეთ იატაკზე, შემდეგ სათითაოდ აკრიფეთ ფეხების მოუხრელად. ასანთი აიღეთ ხან ერთი, ხან მეორე ხელით.

გართულების მიზნით: მიუმატეთ ასანთის რაოდენობა, ფეხები დაუახლოვეთ ერთმანეთს. ასანთის ღერები მოაბნიეთ ფეხებს უკან, იატაკზე, შედექით ოდნავ ამაღლებულზე, და ისევ აკრიფეთ. როგორც კი დაღლა იგრძნოთ, შეწყვიტეთ ვარჯიში. მოძრაობები შეასრულეთ რბილად, დრეკადი ზნექებით.

II ვარჯიში: 70–80 სმ სიგრძის ჯოხი ერთი ხელით ტანს წინ ვერტიკალურად გააჩერეთ, სწრაფად ასწიეთ ფეხი და გადაატარეთ ჯოხს, თან ხელი გაუშვით, ფეხის გადატარების შემდეგ ჯოხი დაიჭირეთ.

ჯოხის სიგრძე შეარჩიეთ თქვენი ტანის მიხედვით, დასაწყისში ნაკლები სიმაღლის, ხოლო შემდეგ თანდათან მოუმატეთ. გადაატარეთ ხან ერთი, ხან მეორე ფეხი. ვარჯიში გააკეთეთ შესვენებებით.

III ვარჯიში: ტანს წინ ვერტიკალურად გააჩერეთ ჯოხი, დაეყრდენით ორივე ხელით. სწრაფად გაუშვით ხელები, შემოტრიალდით და დაიჭირეთ ჯოხი.

ტრიალი შეასრულეთ ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

IV ვარჯიში: ჯოხს ბოლოებში ჩაკიდეთ ხელები, დაიჭირეთ ტანს წინ, მოხარეთ ერთი ფეხი და ხელების გაუშვებლად გადაატარეთ ჯოხს. ვარჯიში შეასრულეთ ხან ერთი, ხან მეორე ფეხით.

V ვარჯიში: თქვენი წელის ზომაზე შეკრული ქამარი იატაკზე დადეთ, შიგ ჩადექით, ჩაკიდეთ ხელები ქამარს და ააცურეთ ზევით, გადააცილეთ თავს.

იგივე ვარჯიში შეგიძლიათ შეასრულოთ პირიქით, დაიწყეთ ზევიდან, ანდა შენაცვლებით.

VI ვარჯიში: იატაკზე დადეთ ჯოხი ან რაიმე თამასა, დადექით მის ახლოს. წელში მოიხარეთ, ფეხის ცერებს ჩაკიდეთ ხელები და ცერებზე ხელების გაუშვებლად გადაახტით ჯოხს. გაიმეორეთ 2-3-ჯერ.

ზემოხსენებული ვარჯიშებიდან შეარჩიეთ თქვენი შესაფერი, რომელთა შესრულება შეგიძლიათ დღეში რამდენიმეჯერ. დაიწყეთ მარტივიდან და თანდათან გადადით რთულზე, ვარჯიშები ხშირად შეცვალეთ.

ამის გარდა, რაც შეიძლება მეტი იარეთ ფეხით, იცურავეთ, მიიღეთ მზისა და წყლის აბაზანები, რა თქმა უნდა, თქვენი ასაკის, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის გათვალისწინებით.

მთავარია დაწყება, შემდეგ კი — სისტემატური ვარჯიში. არ გამოტოვოთ არც ერთი დღე არც დარში, არც ავდარში, არ აყვეთ არც განწყობას, არც უდროობას. სულ მოკლე ხანში ფიზიკური ვარჯიშები სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაგექცევათ, დაიკლებთ წონაში, გაგიკაჟდებათ სხეული, დაგეხვეწებათ ტანი, მოგემატებათ ხალისი და შრომისუნარიანობა.

# თქვენთვის დაუვიწყარი საღამოს...

თუ თქვენ ჩვიდმეტი წლისა ხართ, ეს ზაფხული თქვენთვის სულ სხვანაირად დგება: გამოცდების შფოთიანი, მღელვარე დღეები, უკანასკნელი დღეები სკოლის მერხებთან. დაბოლოს, დაუვიწყარი საღამო — გამოსაშვები საღამო სკოლაში.

განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ ამ დღისათვის ყველა ქალიშვილს სურს განსაკუთრებულად მშვენიერი იყოს? ჰოდა, მხატვარ-მოდელიორების ერთი დიდი საზრუნავიც ესაა.

გამოსაშვებ საღამოს აუცილებლად საზეიმო კაბა მოუხდება. ასეთი კაბებისთვის მხატვარი ყველაზე მოდურ სილუეტებს ირჩევს, ცდილობს მოძებნოს ფორმისა და კონსტრუქციის ორიგინალური გადაწყვეტა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანსამბლის ჰარმონიულობას — ქსოვილის, აქსესუარებისა და კოლორიტის შერჩევას.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს უბრალო თეთრი მაქმანისგან შეკერილი კაბები. შეიძლება სადა და მაქმანური ქსოვილის კომბინირება. ძალიან ამშვენებს კაბას მაქმანით გაწყობაც.

გამოსაშვები საღამოს კაბებისთვის ნაზი, პასტელის ფერებია რეკომენდებული. ძალიან მომხიბლავად გამოიყურება კაბა, თუ ის მკერდზე, სახელოებზე ან საყელოზე დაქარგულია ქსოვილის ტონის ხელოვნური მარგალიტით, წვრილი მძივით ან თამასით.

**მოდელი 1.** სადა აბრეშუმის ქსოვილის გამოსაშვები კაბა. ზედატანი — მაქმანური ქსოვილისაგან. სილუეტი — „ტრაპეცია".

**მოდელი 2.** აბრეშუმის კაბა უჩვეულო ფორმის დაპლისული საყელოთი. გრძელი სახელოები ბოლოვდება დაპლისული სამაჯეებით.

**მოდელი 3.** სწორი კაბა სქელი აბრეშუმის ქსოვილისაგან. დამდგარი საყელო დაქარგულია თამასითა და ხელოვნური მარგალიტით. კაბის გული ჩაჭრილია და აქეთ-იქიდან, ღილების მსგავსად, სიმეტრიულადაა განლაგებული მარგალიტის მძივები.

**მოდელი 4.** ქვევით გაგანიერებული კაბა აბრეშუმის ქსოვილისაგან, კაბის სახელოები გრძელია. საყელო, მისი დიდი ბაფთა და სამაჯეები მაქმანისაა.

მოდელები და მხატვრობა
ლიდა ავალიანისა

მოდელები იხილეთ მეოთხე გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არქიტექტორის რჩევა

# როგორ მოვაწყოთ ერთოთახიანი ბინა

უკანასკნელ წლებში მრავალმა ოჯახმა მიიღო ახალი ბინა და, ბუნებრივია, ყველას ებადება კითხვა: რა იღონოს, რომ ბინა იყოს ლამაზი და განსაკუთრებით მოხერხებული ცხოვრების, შრომისა და დასვენებისათვის. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ მონდომება, ცოტა გამომგონებლობა და კარგი გემოვნება.

უნდა ითქვას, რომ რაც უფრო მცირეა ბინა, მით უფრო რთულია ეს ამოცანა. განსაკუთრებით, ერთოთახიანი ბინის პირობებში, თუ ოჯახის წევრთა რაოდენობა ნორმას აღემატება (ერთოთახიანი ბინა განკუთვნილია ერთი ან ორი ადამიანისათვის). ამასთანავე, ყოველი ოჯახი, ყოველი ადამიანი ინდივიდუალობით, საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. თვით ოჯახებიც განსხვავდებიან წევრთა რიცხვით, მათი ასაკითა და საქმიანობით. ყოველივე ეს განსაზღვრავს ბინის ორგანიზაციასა და მოწყობილობას. ამიტომ, სრულიად გამორიცხულია რაიმე კატეგორიული გადაწყვეტილებანი, რომლებიც უპასუხებენ ყოველგვარ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. ჩვენ დავკმაყოფილდებით იმით, რომ შემოგთავაზებთ ზოგიერთ ხერხს, იმ ძირითად მიმართულებას, რომლის მეოხებითაც უნდა ვეძებოთ ბინის მოწყობის სწორი გადაწყვეტა.

ზოგიერთის აზრით, თანამედროვე ბინა მეტად მცირეა და, ამიტომ, ძირითად საზრუნავს ის უნდა წარმოადგენდეს, თუ როგორ მოათავსოს შიგ რაც შეიძლება მეტი ავეჯი. ამის შედეგად ჩვენში ბინების უმეტესობა უზომოდ გადატვირთულია ავეჯითა და სხვა საგნებით, რომლებიც სრულიად არაა დაკავშირებული ადამიანის უშუალო მოთხოვნილებებთან. ავეჯი ხშირად იკავებს თითქმის მთელ საცხოვრებელ ფართობს და ხდება ადამიანზე მთავარი. ამგვარად, პირველი ამოცანაა: რაც შეიძლება ნაკლები ავეჯი ბინაში, რაც შეიძლება ნაკლები საგნები და რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე. ოთახში არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი საგანი, რომელიც პირდაპირ არ ემსახურება ადამიანს, არ არის მისთვის აუცილებელი.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ბინის ლამაზად მოწყობა მოითხოვს დიდ თანხას, უზომო ხარჯებს. ეს ასე როდია. განა ძვირფასი ნივთები ყოველთვის ლამაზია? დღეს აღარაა მიღებული ძვირფასი გარნიტურები, მოჩუქურთმებული ავეჯი და სხვა. დღევანდელი ოჯახის სილამაზეს განსაზღვრავს არა ძვირფასი საგნები, არამედ ავეჯის გონიერი განლაგება, ფერისა და ფაქტურის შარჯვე გამოყენება, დეკორატიული ელემენტების აზრიანი და მკაცრი შერჩევა და ა. შ.

ასე, მაგალითად, სრულიად არაა აუცილებელი შევიძინოთ ძვირფასი პოლირებული ავეჯი. უფრო მეტიც, პოლირებული ზედაპირი ქმნის მოუსვენარ, განათებულ ლაქებს — ათინათს და ავეჯი მეტად იზიდავს ყურადღებას. ამიტომ იგი არ უხდება პატარა ოთახს, მოითხოვს აღქმისათვის დიდ მანძილს, თავისუფალ სივრცეს მის ირგვლივ. ასეთ ოთახში გაცილებით უკეთესია გლუვზედაპირიანი ავეჯი, სადაც ხე დაფარულია სანთელით. ეს ავლენს ხის კეთილშობილურ ტექსტურას და ოთახს ენიჭება სადა, თავშეკავებული იერი.

ძალიან მოსახერხებელია ბინაში ე. წ. ჩაშენებული ავეჯი. იგი ორგანულად შედის ბინის დაგეგმარებაში, იკავებს გაცილებით ნაკლებ ადგილს, ვიდრე ძველებური კარადები და, ამრიგად, მეტად ეკონომიურია ფართის დაზოგვის თვალსაზრისით. უკანასკნელ დროს ხმარებაში შემოვიდა სექციური ავეჯი, რომელიც იძლევა ტრანსფორმაციის ფართო შესაძლებლობასა და ოთახის მოწყობის ბევრ ვარიანტს.

საწოლი, რომელიც, ჩვეულებრივად, ორ კვადრატულ მეტრს იკავებს, უმჯობესია, შევცვალოთ ტახტით ან დივან-საწოლით (ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს უჯრა თეთრეულისათვის). ასევე მოძველდა საწერი მაგიდა მძიმე ტუმბოებით. მას ბევრი ადგილი უკავია და ოთახს დაწესებულების ოფიციალურ სახეს ანიჭებს. პატარა ოთახში უნდა დავდგათ უბრალო სამუშაო მაგიდა. კიდევ უკეთესია კარადა ან სერვანტი დასაკეცი სახურავით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საწერ მაგიდად გარდაიქმნება. შეიძლება მოვაწყოთ ასაკეცი საწოლებიც, რომლებიც დღისით შეიწევა კარადაში და სხვა მრავალი.

ოთახში რომ მეტი თავისუფალი სივრცე დარჩეს, შევეცადოთ ავეჯი განვალაგოთ არა კედლების გასწვრივ, როგორც ეს მიღებულია, არამედ დავაჯგუფოთ ფუნქციონალურად ერთმანეთთან დაკავშირებული საგნები.

ასე, მაგალითად: მაგიდა ოთახის ცენტრში იკავებს თითქმის მთელ ფართობს და ტოვებს მხოლოდ ვიწრო გასასვლელებს. იგივე მაგიდა, თუ კედელს მივადგით, ოთახში გაცილებით მეტი თავისუფალი სივრცე იქნება. კედელთან ვიწრო მხარით მიდგმული დივანი, მის წინ კი მსუბუქი ავეჯი, მაგალითად, ჟურნალების მაგიდა და ორი სავარძელი შექმნის ლამაზ და მოხდენილ კომპოზიციას. შეიძლება დივანს ზურგით მივადგათ სერვანტი ან მაგიდა და შევქმნათ მყუდრო, განაცალკევებული კუთხეები დასვენებისა და საუბრისათვის. კარგ ფონს წარმოადგენს მსუბუქი ავეჯისთვის წიგნების კარადა (მცირე ბინისათვის უკეთესია თაროები), კარგ შედეგს იძლევა ოთახის გადატიხვრა მსუბუქი, გამჭვირვალე სტელაჟებით, რომელზედაც წიგნებთან ერთად მონაცვლეობით ლაგდება კერამიკული ჭურჭელი და სხვა დეკორატიული ელემენტები.

---

ბარეკანის პირველ გვერდზე — კარლ მარქსი

---

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 99-50-39. 99-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5, 3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 1337. უე 02076 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დივან-საწოლი შეიძლება ოთახიდან ფარდით გამოვყოთ, ოღონდ ფარდა საჭირო შემთხვევაში თავისუფლად უნდა იშლებოდეს. ფარდები უნდა გაკეთდეს რგოლებზე, კედლის მთელ სიგრძეზე, ფართო, მსუბუქი ნაოჭებით. სხვათაშორის, ფანჯრის ვიწრო ფარდის ნაცვლად, უმჯობესია მოვაწყოთ ფარდა კედლის მთელ სიგრძეზე. ეს გაცილებით ეფექტურია და ოთახს მყუდროებას ანიჭებს.

ცხადია, ამით არ ამოიწურება ბინის მოწყობის ყველა შესაძლებლობანი. მოიფიქრეთ, სცადეთ ვარიანტები და მოიძებნება სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტანი.

ოთახის ინტერიერის შექმნა სასიამოვნო და სახალისო საქმეა, ამიტომ ხანდახან საჭიროა მისი შეცვლა, ახალი კომპოზიციების ძიება, ახალი კუთხეების შექმნა.

პროფესორი ირაკლი ციციშვილი







ИНДЕКС 76178

